ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ლევან გაჩეჩილაძეს ბანკმა შეიძლება სახლი გაუყიდოს

გვ.3



პარასკევი, 5 აგვისტო, 2011 №184 (5565 ) ფასი: 30 თეთრი

# *ირაკლი ალასანია:* „2012 წელს რევოლუციური არჩევნები იქნება“



გვ.2

## *გიორგი ახვლედიანი:* „არჩევნებში „ექვსიანი“ ჩვენი კონკურენტი ვერ გახდება“

გვ.4

„აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ახალ პარლამენტში მოვხვდებით“



## სკანდალი: ოზურგეთის გამგებელი დააკავეს

გვ.3



გვ.5

## „დაანებეთ თავი „მარიოტში“ სიარულს და წადით ხალხთან“

რას ურჩევს ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი ოპოზიციას



გვ.5

## რა სიახლეს სთავაზობს „ექვსიანი“ ხელისუფლებას

„ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ საარჩევნო სიის ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე შედგენას“

## *ნინო ბურჯანაძე:* ვასილ ბოლაშვილს ტელევიზიის შექმნა ხელისუფლებამ დაავალა

გვ.2





გვ.3

## პარლამენტის ქუთაისში გადატანით მხოლოდ რესტორნები იხეირებენ

150-კაციანი მუქთახორების არმია ყოველ საღამოს გაავსებს „გოგი სვანიძეების“ დუქანს, რესტორან „ტირიფებს“ და ა.შ.



გვ.6

## შირაზიანი სააკაშვილს სომხების შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

3090

SMS განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 ტყეშელაშვილი პუტინს გამოეხმაურა

7 „ლომაიამ მოკლა ქართული განათლება, შაშკინი კი ასაფლავებს“

6 ინფლაცია კიდევ უფრო შემცირდება

7 რატომ დევნის სააკაშვილი ადვოკატებს

# ირაკლი ალასანია: „2012 წელს რევოლუციური არჩევნები იქნება“

ნათია ხურცილავა

**ცოტა ხნის წინ „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია აშშ-დან დაბრუნდა. მას იქ შეხვედრები ჰქონდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან და კონგრესმენებთან. „ახალი თაობა“ ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**

ირაკლი ალასანია:

— შეხვედრები, რომლებიც მთლიანად ეძღვნებოდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების დღევანდელ მდგომარეობას, საინტერესო იმითაც იყო, რომ დაემთხვა ამერიკის უახლეს ისტორიაში ფინანსურად ყველაზე რთულ პერიოდს. ამ საკითხზე სენატში, კონგრესში დებატები იყო, რომლებზეც იყო ამერიკის ეკონომიკის ბედი დამოკიდებული, უსაფუძვლო არ იქნება, თუ ვიტყვი — მსოფლიო ეკონომიკის ბედიც. ამერიკელ კოლეგებთან შეხვედრებზე საქართველოზე ფიქრობდნენ, საქართველოსთან დაკავშირებით რეზოლუციაც კი მიიღო სენატმა. ეს ნიშნავს, თუ როგორ აფასებენ საქართველოსთან ურთიერთობას. რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ამ ურთიერთობას. ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების, ინტერესის ქვაკუთხედი სწორედ ის არის, რომ საქართველომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებზე დემოკრატიის ძირითადი ტესტი ჩააბაროს, ტესტი, რომელიც ჯერ არ გაუვლია საქართველოს.

ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში ხელისუფლების გადაცემა დემოკრატიული არჩევნების გზით არჩეულ ხელისუფლებაზე არ მომხდარა. სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი სენატორ მაკკეინთან, სენატორ ლიბერმანთან. ამ საკითხზე გვქონდა საუბარი სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოსა და ევრაზიის საკითხებში ახალ მოადგილესთან, ერიკ რუბერტთან. მოკლედ რომ გითხრათ, განწყობა ასეთია: საქართველოს ისინი კარგ მეგობრად თვლიან, მზად არიან, გააგრძელონ საქართველოს მხარდაჭერა, მაგრამ ქართველებმა, ქართველმა საზოგადოებამ, პირველ რიგში, თავად უნდა დაუჭიროს მხარი დემოკრატიას. ეს ნიშნავს, რომ ჩვენს გასაკეთებელს ვერც ამერიკელი, ვერც ევროპელი ვერ გააკეთებს. ჩვენ, საზოგადოებამ, მოქალაქეებმა უნდა მოვითხოვოთ ის, რაც სახელმწიფოსგან გვინდა.

— ***რა გვინდა, რა უნდა მოვითხოვოთ?***

— პირველ რიგში — თავისუფალი არჩევანის უფლება; დამოუკიდებელი სასამართლოს აღდგენა ჩვენს ქვეყანაში; ბიზნესისა და მედიის კონკურენციის პირობებში ჩაყენება. აღმოჩნდა, რომ კიდევ უფრო დავცილდით დემოკრატიის ძირითად პრინციპებს ბოლო 7 წლის განმავლობაში. „თავისუფალი დემოკრატები“, ჩვენთან პარტნიორობაში მყოფი სხვა პარტიები ვაპირებთ, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი უფრო ნათელი გავხადოთ სააკაშვილის არასწორ, უპასუხისმგებლო პოლიტიკასთან ეკონომიკაში, სოფლის მეურნეობაში, სოციალურ პოლიტიკაში, იმ შედეგებთან, რომელთა წინაშეც ქართველი საზოგადოება „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის 7 წლის შემდეგ აღმოჩნდა. ეს არის ხალხისთვის, საზოგადოებისთვის ნათლად დასანახი, რაც მთავარია, ალტერნატივის შეთავაზება.

— ***როგორ აპირებთ ამ ალტერნატივის შეთავაზებას?***

— ძალიან სწორი სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, სტრატეგია გვაქვს.

— ***თქვენი პარტიის სტრატეგიაზე საუბრობთ. თუ შეიძლება, რომ საარჩევნო ბლოკი შეიქმნას?***

— „თავისუფალ დემოკრატებზე“ ვსაუბრობ. საზოგადოებას, ხალხს სჭირდება არა მხოლოდ კრიტიკის მოსმენა, არამედ სჭირდება კონკრეტული საშუალებების დანახვება, თუ როგორ გამოვა ქვეყანა ამ მდგომარეობიდან. ამიტომაც დავიწყეთ სოფლის მეურნეობით. ჩვენი მოსახლეობის 55 პროცენტი დედაქალაქის გარეთ სწორედ ჩართული იყო სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ სექტორში. მეორე, რაც აუცილებელია სამართლიანობის დამკვიდრებისთვის — დამოუკიდებელი სასამართლო და პოლიციისა და უსაფრთხოების სამსახურების დეპოლიტიზაცია. სწორედ ამიტომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ სპეციალური კანონპროექტი შევიმუშავეთ პოლიციის დეპოლიტიზაციისა და საზოგადოებას წარვუდგინეთ. ასევე ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჯანდაცვა, რომელიც პრაქტიკულად განადგურებულია. ახალი ჯანდაცვის სისტემა ვერ შეიქმნა. ჩვენი მოქალაქეების 80 პროცენტი ხელმისაწვდომი ჯანდაცვის მომსახურების გარეშეა დარჩენილი. ეს ის საკითხებია, რომლებითაც ჩვენი მოქალაქეების წინაშე წარვდგებით.



— ***თქვენს პარტნიორებზე, დანარჩენ ხუთ პარტიაზე რას იტყვით?***

— ჩვენი ხუთი პარტნიორი პოლიტიკური ძალა ვთანხმდებით, რომ თავისუფალი არჩევანის მოსაპოვებლად ჩვენ და სამოქალაქო საზოგადოება უფრო მჭიდრო პარტნიორები უნდა ვიყოთ.

— ***როგორ წარმოგიდგენიათ ეს პარტნიორობა?***

— ვქმნით მოძრაობას „თავისუფალი არჩევანისთვის“. როგორ? ამ კითხვას პასუხი ერთი თვის წინ გავეცით, როდესაც შევხვდით სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლებს. შევარჩიეთ ორი თემა: მედიის რეფორმა და თავისუფლება, ასევე, პოლიტიკური უფლებების დაცვა. ჟურნალისტურ წრეებთან, საგამოძიებო ჟურნალისტიკის წარმომადგენლებთან სექტემბრიდან პარტნიორობას ვაპირებთ მათი სამართლიანი მოთხოვნის მხარდაჭერაში. მხარდაჭერა არა მხოლოდ სიტყვიერი და დეკლარირებული იქნება, არამედ მანიფესტაციებში, სხვადასხვა ფორმის საპროტესტო აქციებში გადაიზრდება, რომლებიც როგორც ქართველი საზოგადოების, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღებას მიიპყრობს. ამერიკელ სენატორებთან საუბრისას მედია იყო ერთ-ერთი ცენტრალური თემა.

— ***თუ აქვთ ინფორმაცია მედიაში შექმნილ სიტუაციაზე?***

— აქვთ. როგორც ჩანს, მათი დიპლომატიური წარმომადგენლობაც საკმაოდ ობიექტურ ინფორმაციას აძლევს. თუმცა, არ დაგიმალავთ, აუცილებელია ჩვენი ურთიერთობა მათთან. მედიის კონტროლის მასშტაბურობაზე ხანდახან სწორი წარმოდგენა არ აქვთ. ისინი არ უშვებენ, რომ დღეს, 21-ე საუკუნეში, ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მასშტაბურად შეიძლება აკონტროლებდეს პრეზიდენტი ნაციონალურ მედია მაუწყებლებს. ლიბერმანმა შედარებაც კი გააკეთა, რომ ეს ჰგავს ამერიკას 30-40-იან წლებში, როდესაც მონოპოლიები მართავდნენ ქვეყანას როგორც ბიზნესში, ასევე პოლიტიკაში. რომ დავუბრუნდეთ მთავარ თემას, მედიასთან ერთად ავირჩიეთ ადამიანის უფლებები, პატიმართა უფლებები, პენიტენციალურ სისტემაში არსებული ვითარება. თითქმის ყველა ოჯახი მოხვდა ამ რეპრესიულ მანქანაში, რომელიც შექმნეს სააკაშვილმა, ადეიშვილმა და მერაბიშვილმა ერთად, სადაც ადგილი არ აქვს დამოუკიდებელ მართლმსაჯულებას. 2010 წელს სისხლის სამართლის საქმეზე გამამართლებელი განაჩენი იყო 0,1 პროცენტი. ეს მონაცემი ნათლად აჩვენებს, რა მდგომარეობაშია ჩვენი მართლმსაჯულება.

— ***არჩევნების თემას რომ დავუბრუნდეთ...***

— ოქტომბრისთვის და მანამდეც ბევრ საპროტესტო მანიფესტაციას, სხვადასხვა ფორმის აქტიურობას ვგეგმავთ.

— ***რა მოთხოვნა იქნება საპროტესტო აქციებზე?***

— კონკრეტულად, ცვლილებები შევიდეს საარჩევნო რეფორმაში, რომელიც ითვალისწინებს, პირველ რიგში, ამომრჩეველთა სიების დადგენის სწორ ფორმას, ერთი მოქალაქე — ერთი ხმა, რაც უნდა იყოს გარანტირებული. მეორე მოთხოვნა: ცვლილებები შევიდეს საარჩევნო სისტემაში, რომ ის სამართლიანი გახდეს. რა პროცენტსაც მიიღებს ესა თუ ის პოლიტიკური ორგანიზაცია, ის წარმომადგენლობა ჰქონდეს პარლამენტში. სამართლიან სისტემაზე ვსაუბრობ. ამ მოთხოვნებამდე მოქალაქეებს უნდა გავაგებინოთ, რას ართმევენ თითოეულ მოქალაქეს სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“, როდესაც არ თანხმდებიან საარჩევნო სისტემის რეფორმას. მომავალი კვირიდან მთელ აგვისტოს დასავლეთ საქართველოში ვატარებთ, მოსახლეობას ვხვდებით სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, ქართლში, აჭარაში.

— ***შეიძლება, ეს მოქალაქეები ამ მოთხოვნით თბილისში ჩამოვიდნენ?***

— ახლა ეს ამოცანა არ დგას. ჩვენთვის მთავარია, რომ მათ ნათლად დაინახონ, ჩვენ რას ვთავაზობთ და სააკაშვილი რის უფლებას არ აძლევს. თუ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ არ დათანხმდებიან ამ მოთხოვნას, შემდეგი არჩევნები უკვე ველარ იქნება ნორმალური არჩევნები. შემდეგი არჩევნები ჩვენ უნდა ვაქციოთ რევოლუციურ არჩევნებად, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, მიუხედავად შეუცვლელი საარჩევნო გარემოსი, გამოვა, რათა მათი რაოდენობით (ვსაუბრობ მილიონს პლუს დანარჩენი ხმა) ვაიძულოთ ხელისუფლება, „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებიდან წავიდეს. თუ მასშტაბური მოძრაობა გადაიქცა (დარწმუნებული ვარ, ამის შანსი გვექნება) — ყველანი არჩევნებზე — ეს უკვე იქნება რევოლუციური არჩევნები.

— ***შეიძლება, 2012 წლის მოვლენები ისე განვითარდეს, რაც „ვარდების რევოლუციით“ დასრულდა?***

— თუ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა არჩევნებზე მოვა და მხარს დაუჭერს იმ ძალას, რომელსაც თვლიან, რომ შეუძლია ამ ჩიხიდან ქვეყნის გამოყვანა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააკაშვილმა ხალხის ხმა არ გაიგონა, მისი დამარცხება შესაძლებელი გახდება, მაგრამ ამას სჭირდება ტალღა, რევოლუციური არჩევნების ჩატარება, რაც, ბუნებრივია, კონსტიტუციის ფარგლებში იქნება, მაგრამ იქნება იმ ცვლილების მომტანი, რომელიც საზოგადოებას სჭირდება.

— ***ბატონო ირაკლი, ეს ვარიანტი ამერიკაში შეხვედრების დროს განიხილეთ?***

— არა. ამერიკაში იყო საუბარი, რომ პროცესებში საზოგადოება მეტად უნდა იყოს ჩართული. საზოგადოებამ უნდა გამოავლინოს საკუთარი ნება. ჩემს კონკრეტულ პოლიტიკურ გეგმებზე ასეთი დეტალური საუბარი არ მქონია.

## 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ბრალდება 7 პირს წარედგინა

2011 წლის 26 მაისს, რუსთაველის გამზირზე მყოფ პირთა სიცოცხლის მოსპობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტებთან დაკავშირებით, ბრალდება შვიდ პირს წარედგინა.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, დღევანდელი მდგომარეობით, ხუთმა ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული და იშუამდგომლა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე.

— თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 28-29 ივლისს დამტკიცებულ იქნა საპროცესო შეთანხმებები. ამირან მერებაშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობით მსჯავრი, ალექსანდრე ბიბილურს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობით მსჯავრი, ნიკოლოზ ზაუტაშვილს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობით მსჯავრი, კობა კობაურს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობით მსჯავრი და ილია ზივზივაძეს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და 5 წელი პირობით მსჯავრი მიესაჯა, — აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში..

ხოლო ზაქრია ზურაშვილისა და ივანე ჩიღვინაძის მიმართ გამოძიება გრძელდება.

პროკურატურაში განმარტავენ, რომ შემდგომში საზოგადოებას მიაწვდიან სრულ ინფორმაციას, სადაც ამომწურავად და დეტალურად იქნება ასახული გამოძიების პროცესში გამოკვეთილი ყველა ფაქტი და საზოგადოებისთვის საინტერესო გარემოება, მათ შორის ყველა ის მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად უდევს ბრალდებას.

ინტერპრესნიუსი

## ნინო ბურჯანაძე: ვასილ ბოლაშვილს ტელეანძის შეძენა ხელისუფლებამ დაავალა

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი, ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ ვასილ ბოლაშვილს ტელეანძის შეძენა ხელისუფლებამ დაავალა.

როგორც ბურჯანაძემ განაცხადა, თავად ბოლაშვილს ამ ანძის შეძენისთვის არც შესაბამისი გამოცდილება და არც ინტერესი უნდა ჰქონოდა.

მისივე ინფორმაციათ, ბოლაშვილს, თავისი ბიზნესიდან გამომდინარე, ამ საქმეში არც 12 მილიონის ჩადების შესაძლებლობა აქვს.



— რაც შეეხება თავად ვასილ ბოლაშვილს, იმის გათვალისწინებით, რომ მას კახეთში ავტორიტეტი ჰქონდა, მე მას თავის დროზე, საპარლამენტო სიის განხილვის დროს, გარკვეული რეკომენდაცია გავუწიე, თუმცა ეს საკითხი, გასაგები მიზეზების გამო, ნეგატიურად გადაწყდა. მას შემდეგ ვასილ ბოლაშვილზე ძალიან დიდი ზეწოლა განხორციელდა მისი შვილის მეშვეობით. გიორგი ბოლაშვილი ჩემი შვილის თანაკლასელი და მეგობარი იყო. 2009 წელს ის აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ჩემს 9 მხარდამჭერთან ერთად დააპატიმრეს და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში დასდეს ბრალი. სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა 6 თვე ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული. დღეს ვასილ ბოლაშვილის შვილი პირობით სასჯელს იხდის და ვფიქრობ, ეს ძალიან სერიოზული ბერკეტია, რომ ადამიანმა შეზღუდულად იმოქმედოს, — აღნიშნავს ბურჯანაძე.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი არ გამორიცხავს, რომ მასზე ამჟერადაც გარკვეული ზეწოლა განხორციელდა და ხელისუფლებამ ის, როგორც ერთ-ერთი ბიზნესწარმომადგენელი, გამოიყენა.

ინტერპრესნიუსი

## ტყეშელაშვილი პუტინს გამოეხმაურა

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ეკა ტყეშელაშვილი რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის განცხადებას გამოეხმაურა, რომელიც ცხინვალის რეგიონის რუსეთის შემადგენლობაში შესაძლო შესვლას ეხება. ეკა ტყეშელაშვილის განცხადებით, სამართლებრივი თვალსაზრისით, ყველაფერი რაც ხდება ოკუპირებულ რეგიონებში, არის აბსოლუტურად არალეგიტიმური.

— ეს ქმედებები არის არალეგიტიმური. არის ნული იურიდიული თვალსაზრისით, ვიდრე არ განხორციელდება დეოკუპაცია და არ აღდგება სამართლიანობა, — განაცხადა ეკა ტყეშელაშვილმა.

ვლადიმერ პუტინმა „სელიგარის“ ბანაკში ახლაგაზრდებთან გამართული შეხვედრისას განაცხადა, რომ ოსმა ხალხმა რეფერებდუმის გზით უნდა გადაწყვიტოს, სურს თუ არა რუსეთთან შეერთება.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ლევან გაჩეჩილაძეს ბანკმა შეიძლება სახლი გაუყიდოს

**ლევან გაჩეჩილაძე, რომელიც დღეს არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ არის, რომელსაც პოლიტიკური შვებულება აქვს აღებული, ისევ აქტუალური გახდა.**

ნათია ხურცილავა

გაჩეჩილაძეს „ტაო-პრივატ ბანკის“ ფულადი დავალიანება აქვს, რის გამოც მას საცხოვრებელი სახლის დათმობა შეიძლება მოუწიოს. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციის ყოფილი ლიდერის სახლი აუქციონზე გაიტანონ და გაუყიდონ.

ამის შესახებ ინფორმაცია ლევან გაჩეჩილაძის ადვოკატმა ნათია კორკოტაძემ მიაწოდა სააგენტო ჯი-ეიჩ-ენს.

გაჩეჩილაძის ადვოკატი აცხადებს, რომ გაჩეჩილაძეს ფული არ აქვს და საქმეზე დავა სასამართლოში გრძელდება.

— ლევანს არ დაუფარავს ბანკის წინაშე არსებული დავალიანება, რადგან ფული არ აქვს. შესაბამისად, დავა მასსა და „ტაო-პრივატ ბანკს“ შორის ისევ მიმდინარეობს, — განაცხადა გაჩეჩილაძის ადვოკატმა.

ლევან გაჩეჩილაძეს ერთ-ერთ ბანკთან დავა რომ ჰქონდა, ეს ინფორმაცია კახა კუკავამ „ახალ თაობასთან“ საუბარში ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, როდესაც ბადრი ბიწაძემ გაჩეჩილაძეს ხელისუფლებასთან გარიგებასა და რამდენიმე მილიონის აღებაში დასდო ბრალი.

მაშინ კახა კუკავასგან გახდა პირველად ცნრობილი, რომ ფულის სანაცვლოდ ბანკში ლევან გაჩეჩილაძეს სახლი ჰქონდა ჩადებული. ამ ფაქტს კუკავა ბიწაძის ბრალდებების გასაბათილებლადაც იყენებდა — თუ გაჩეჩილაძეს ხელისუფლებისგან ფული ჰქონდა აღებული, მაშინ ბანკში საკუთარი საცხოვრებელი სახლი როგორ ჩადო? — კითხულობდა კუკავა, რომელიც მაშინ გაჩეჩილაძეს სასამართლოზე ადვოკატის რანგში იცავდა.



დღეს კი ცნობილი ხდება, რომ გაჩეჩილაძის კუთვნილ ქონებასთან, საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით, რომელიც ბარნოვის ქუჩაზე მდებარეობს, დავამ სააპელაციო სასამართლოში გადაინაცვლა.

— სააპელაციო სასამართლოს საქმის განხილვის დაწყებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები დასრულებული აქვს. ველოდებით განხილვის დაწყებას, თუმცა, პროცესი ჯერ-ჯერობით არ ჩანიშნულა. — განუცხადა კორკოტაძემ ჯი-ეიჩ-ენს.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე არსებობს ინფორმაცია, რომ ლევან გაჩეჩილაძის სახლი შეიძლება აუქციონზე გაიტანოს ბანკმა, სამართლებრივად აუქციონი სასამართლო დავის დასრულებამდე ვერ გამოცხადდება. სულ ლევან გაჩეჩილაძეს „ტაო-პრივატ ბანკისთვის“ 220.000 ლარი აქვს გადასახდელი.

მთელ ამ პროცესს თან ერთვის ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკური განცხადებები, რომლებიც ოქრუაშვილმა ყოფილ თანაპარტიელზე პარიზიდან გააკეთა.

„მაესტროს“ ჟურნალისტ ნათია მიქიაშვილისთვის მიცემულ ინტურვიუში ოქრუაშვილი ამტკიცებს, რომ გაჩეჩილაძემ „ქართული პარტიის“ გეგმები გაყიდა, რაშიც ხელისუფლებისგან 5 მილიონი აიღო.

გაჩეჩილაძემ ამას უპასუხა, რომ მალე ირაკლი ოქრუაშვილზე ყველაფერს იტყვის. თუმცა, მას ჯერ არ დაუკონკრეტებია, რა კომპრომატები აქვს ოქრუაშვილზე.

„ქართულ პარტიაში“ არ გამორიცხავენ, რომ გაჩეჩილაძემ ოქრუაშვილის მიერ დასახელებული თანხით ძველი ვალები გაისტუმრა.

ჯი-ეიჩ-ენის ინფორმაციით, „ტაო-პრივატ ბანკის“ გარდა, ლევან გაჩეჩილაძეს, აღებული სესხების გამო, დავა სხვა უძრავ ქონებაზე კიდევ რამდენიმე ბანკთან აქვს.

დასასრულს დავძენთ, რომ ეს ყველაფერი შეიძლება იმას ადასტურებდეს, რომ ირაკლი ოქრუაშვილის ბრალდება ლევან გაჩეჩილაძის მისამართით სწორი არ არის, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაჩეჩილაძეს ვალების გასტუმრება არ უნდა გასჭირვებოდა.

# *სკანდალი:* ოზურგეთის გამგებელი დააკავეს

ნათია ხურცილავა

გუშინ, 4 აგვისტოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ტაკიძე 180 ათასი ლარის მითვისებაში თანამონაწილეობის ბრალდებით დააკავეს.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, ტაკიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის უფროს მერაბ კურდღელაშვილისგან დამატებით დიდი ოდენობით ქრთამის, 20 ათასი ლარის, აღებაშია ბრალდებული.

როგორც პროკურატურაში განმარტავენ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საქმიანობის შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების გამო, დაკავებულია დასუფთავების სამსახურის უფროსი მერაბ კურდღელაშვილი.



კურდღელაშვილი ბრალდებულია 2010-2011 წლებში ბიუჯეტიდან მიღებული მილიონ ათი ათასი ლარიდან 180 ათასი ლარის მითვისებაში.

გამოძიების ინფორმაციით, კურდღელაშვილს სამსახურებრივ მფარველობას უწევდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ტაკიძე.

აღნიშნულ საქმეზე გამოძიება გრძელდება. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ტაკიძეს 15-წლამდე პატიმრობა ემუქრება.

არაოფიციალური ინფორმაციით, მერაბ კურდღელაშვილი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე იყო გათავისუფლებული. იგი მთავარმა პროკურატურამ ბიუჯეტიდან თანხების არამიზნობრივად გახარჯვის ბრალდებით 10 დღის წინ დააკავა. თუმცა, მასათნ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და პატიმრობიდან რამდენიმე დღის წინ გათავისუფლდა. ამ ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი“ ავრცელებს. თუმცა, ოფიცალურად აღნიშნული ინფორმაცია არ დასტურდება.

# პარლამენტის ქუთაისში გადატანით მხოლოდ რესტორნები იხეირებენ

**159-კაციანი მუქთახორების არმია ყოველ საღამოს გაავსებს „გოგი სვანი ეების“ დუქანს, რესტორან „ტირიფებს“ და ა.შ.**

შორენა კოწოწაშვილი

### ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურ მდივან კახა ძაგანიასთან

***— ბატონო კახა, რამდენად გამოკვეთილია უკვე ახალი პარლამენტის კონტურები? არსებობს აზრი, რომ ახალი, 2012 წლის პარლამენტი არა მხოლოდ გაყალბებული იქნება, არამედ გარიგებულიც.***

— სამწუხაროდ, ხელისუფლებამ იმდენი მოახერხა, რომ თავისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების დახმარებით, თავისი ერთპარტიული პარლამენტის გამოყენებით თბილისიდან მოშორებით გადაიტანა. ეს იყო მიხეილ სააკაშვილის ტაქტიკური მოქმედება, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ დედაქალაქისთვის და მისი მოსახლეობისთვის ანგარიში გაესწორებინათ იმიტომ, რომ სააკაშვილი ასე თვლის — დედაქალაქში პოპულარობით არ სარგებლობს. პრეზიდენტი შეეცადა საქართველოსთვის დაემტკიცებინა, რომ დასჯის ყველას, ვინც მხარში არ დაუდგება, ხმას არ მისცემს და ვინც მისი მხარდამჭერი არ არის. ჩვენ ვთვლით, რომ სააკაშვილის ეს შურისძიება ძალიან ძვირად დაუჯდება მასაც და სამწუხაროდ, ქვეყანასაც. იმიტომ, რომ დედაქალაქის ფუნქციის და სტატუსის ჩამორთმევა ნიშნავს ქვეყნის ისტორიული განვითარების ძალიან რთულ რელსებზე გადაყვანას, რადგანაც დედაქალაქი თბილისი არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის დედაქალაქად ითვლებოდა ისტორიულად. ასე რომ, სააკაშვილის 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადების პირველი ნაბიჯი იყო პარლამენტის დედაქალაქიდან გადატანა ქუთაისში. რაც შეეხება შემდეგ საპარლამენტო პარტიათა ერთობლიობას, ხელისუფლება ცდილობს, მაჟორიტარების და უმრავლესობის გამოყენებით შექმნას ორმესამედიანი ჯგუფი, რომელიც ადვილად მისცემს ხმას კონსტიტუციურ ცვლილებებს და სააკაშვილის პრემიერ-მინისტრად დატოვებას. ეს, რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ იქნება სააკაშვილის და ამ რეჟიმის კიდევ ერთხელ გაგრძელება და განვითარება, რამდენიმე წლით კვლავ ხელისუფლების სათავეში დატოვება. ეს ყველაფერი კი ძალიან მტკივნეულად აისახება ქვეყნის განვითარებაზე. აქ იგულისხმება როგორც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა, სოციალური პრობლემები, გენოციდი და ა.შ. ეს არის ასევე მძიმე შედეგების მომტანი იმ კუთხით, რომ ამ ხელისუფლების წყალობით ქვეყანაში შემოდიანი იმპერიები, რომლებიც თავის ინტერესებს ახრციელებენ და ამით საქართველოს ერთიანობას ვნებენ.

***— და მაინც, ახალი პარლამენტი უფრო მეტად გაყალბებული იქნება თუ უფრო გარიგებული?***

— პრინციპში, გაყალბებული პარლამენტი გარიგებულს არ გამორიცხავს. გარიგებაც გაყალბების ერთ-ერთი ფორმაა. მაგრამ ვთვლით, რომ ის პარტიები, რომლებიც ამერიკელებთან მუშაობენ, მხედველობაში მაქვს პოლიტიკური „ექსიანი“, ისინი იქნებიან ამერიკელების დახმარებით რაღაც პატარა ფრაქციის მოლოდინში. ისინი დარწმუნებული არიან, რომ პატარა ფრაქციას მიიღებენ ახალ პარლამენტში ამერიკელების დახმარებით. ასევე უმრავლესობის და სააკაშვილის მხარდამჭერი სატელიტი ჯგუფები, რომლებიც ხელისუფლებას ყველაფერზე ხელს უწერენ და ეთანხმებიან. მაგალითად, ამ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებთან დაკავშირებით თუ კონსტიტუციურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ამ ჯგუფებსაც აქვთ თავიანთი ჩუმი წადილი ხელისუფლებასთან მიტმასნების საშუალებით მოხვდნენ პარლამენტში. მხედველობაში მაქვს ის ჯგუფი, რომელიც მზად არის კოდექსის ნებისმიერ ცვლილებაზე ხელი მოაწეროს სააკაშვილის სასარგებლოდ და მიიღოს ადგილები. ასევეა მეორე ჯგუფის, რომელიც ამერიკელებთან კუდის ქნევით ცვილობენ პარლამენტში რაღაც ადგილები დაიბევონ. ასე რომ, თუ რამე არ შეიცვალა და ხალხმა მართლაც არ შეცვალა ეს ხელისუფლება, ისევ მივიღებთ ერთპარტიულ პარლამენტს. ისევ მივიღებთ ისეთ პარლამენტს, სადაც იქნებიან სააკაშვილის ტაშისმკვრელები და არავითარი სახალხო ინტერესის გამტარებლები.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილის შეცდომა იყო პარლამენტის ქუთაისში გადატანა?***

— ეს შეცდომა კი არა, დანაშაულია.

***— თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს რეგიონების განვითარებას და ქვეყნის დეცენტრალიზაციას.***

— დეცენტრალიზაციას არ სჭირდება სახელისუფლო შენობების სხვადასხვა რაიონში გადატანა. რეგიონულ განვითარებას და დეცენტრალიზაციას სჭირდება სწორი საბიუჯეტო დაგეგმარება და იმ დარგების განვითარება იმ კონკრეტულ რეგიონებში, რომელი დარგებიც მნიშვნელოვანი იყო და რომელი დარგებიც იდითგანვე იყო განვითარებული, მაგალითად ქუთაისში ინდუსტრიის განვითარებაა მნიშვნელოვანი.

***— ხელისუფლება ფიქრობს, რომ პარლამენტის ქუთაისში გადატანით იმერეთში, დასავლეთ საქართველოში პოზიციებს მოიმაგრებს და არჩევნებში ამას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს.***

— არა, არ მოიმაგრებს. შესაძლებელია



რამდენიმე იქაური დეპუტატის და მათი თანაშემწეების ოჯახები გახდნენ ხელისუფლების მხარდამჭერები. მაგრამ პარლამენტის ქუთაისში გადატანა რეგიონს არაფერს არ მისცემს. უბრალოდ, იმ რეგიონს დაემატება 150-კაციანი პარლამენტის მუქთახორების არმია, რომლებიც ყოველ საღამოს გაავსებენ „გოგი სვანიძეების“ დუქანს, რესტორან „ტირიფებს“ და ა.შ. ანუ ცვლილება იქნება ასეთი: ქუთაისის რესტორნებს მუქთახორა დეპუტატები შეემატებიან.

თუ ეს განხილული იქნება გოდერძის უღელტეხილის კონტექსტში, ძალიან საშიშ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, რომელიც პირდაპირ ქვეყნის დაშლის და დაქუცმაცების, სხვა ქვეყნის მიერ ოკუპაციის ძალიან მსუყე ნიადაგს ქმნის.

***— რთული პოლიტიკური პროცესები ელოდება ხელისუფლებას არჩევნების წინ თუ უპრობლემოდ ჩაივლის წინასაარჩევნო პერიოდი?***

— ამ მოსაზრებას საფუძველი ნამდვილად აქვს და რეალურადაც ასეც არის. პრაქტიკულად, ოპოზიციურ ფლანგზე არსებული ყველა ჯგუფი ვალდებულია ან ხელისუფლებასთან, ან ამერიკულ ჯგუფებთან ითანამშრომლოს, რომლებიც საქართველოში პოლიტიკურ პროექტებს განახორციელებენ. ანუ რაღაც ვალდებულება ოპოზიციურ ჯგუფებს ნამდვილად აქვთ. ეს ოპოზიციური ჯგუფები ამ ვალდებულების გამო არიან ჩარჩოებში მოქცეული. ასე რომ, მათი მოქმედება ძალიან შეზღუდულია. ხელისუფლება რა თქმა უნდა თვლის, რომ ამის ფიქრის საფუძველი ნამდვილად არსებობს, რომ ოპოზიციური ფლანგი მისთვის პრობლემას აღარ წარმოადგენს. ერთი პრობლემა დარჩა, ჩვენი პარტია — ლეიბორისტული პარტია და ხელისუფლება თვლის, რომ ამ ერთ პარტიას ძალიან მარტივად მოერევა. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ერთპარტიული იქნება პარლამენტი თუ პარლამენტში იქნებიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხის ინტერესებს გაატარებენ.

***— ერთსულოვნებაა ხელისუფლების შიგნით? არაერთი პოლიტიკოსი მიანიშნებს, რომ თავისუფლების ინსტიტუტი პრობლემებს შეუქმნის სააკაშვილს და მას გაუჭირდება პრემიერის პოსტის დაკავება. ანუ ბოკერიას და მის დაჯგუფებას არ აწყობს პრემიერი სააკაშვილი პრეზიდენტის უფლებებითო.***

— ხელისუფლების შიგნით განხეთქილებაა. პროამერიკული ძალები ცდილობენ თავისი კანდიდატი მოიყვანონ. შეიძლება გუნდის შიგნით სერიოზული დაპირისპირებების, მაგრამ ამას გარეთ არ გამოიტანენ იმის გათვალისწინებით, რომ ცოტა ხანში საპარლამენტო არჩევნები მოდის და ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები აქვთ გადასაწყვეტი. რაც შეეხება იმას, შეეგუება თუ არა ბოკერია-უგულავას გუნდი პრემიერის პოსტზე ამბიციურ სააკაშვილს, აქ, საქართველოში არც ბოკერიას წყვეტს რამეს და არც სააკაშვილი. აქ გადაწყვეტილებებს იღებენ ამერიკის საელჩოში.

***— ვანო მერაბიშვილი თავისუფლების ინსტიტუტის ინტერესებს გაატარებს თუ დამოუკიდებელი სვლებია მისგან მოსალოდნელი? ფაქტია, მერაბიშვილის ანგარიშგასაწევი ფიგურაა.***

— ჩვენ ვლაპარაკობთ „პეშკებზე“ და მათ ამბიციებზე. პოლიტიკა კი სხვაგან კეთდება.

# გიორგი ახვლედიანი: „არჩევნებში „ექვსიანი“ ჩვენი კონკურენტი ვერ გახდება“

## „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ახალ პარლამენტში მოვხვდებით“

ნანა მიშელაშვილი

საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი მიიჩნევს, რომ ქრისტიან-დემოკრატებსა და ალასანიას პარტიას ერთი და იგივე ნიშა არ აქვთ. ახვლედიანი ამბობს, რომ ქრისტიან-დემოკრატები ტრადიციებზე ორიენტირებული, კონსერვატიული მიდგომების პოლიტიკური ძალაა, ალასანიას პარტია კი — ლიბერალური პოლიტიკური ძალა.




მიიღებენ თუ არა რადიკალები არჩევნებში მონაწილეობას და როგორი იქნება „ექვსიანთან“ დანარჩენების ურთიერთობა? „ახალი თაობა“ **გიორგი ახვლედიანს** ესაუბრა.

***— 2012 წლის არჩევნებისთვის ოპოზიციის ნაწილი ისევ ბოიკოტის რეჟიმში დარჩება თუ ისინი, ვინც წინა არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებენ?***

— კონკრეტულად რაიმე ინფორმაციას ამის შესახებ არ ვფლობ.

***— ნინო ბურჯანაძის პარტიის არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია თუ გსმენიათ?***

— კულუარულად ძალიან ბევრი რამ შეიძლება გავრცელდეს, რასაცსაფუძველი არ აქვს.

***— თუ ნინო ბურჯანაძე არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს, ამას როგორ შეაფასებთ?***

— 9 თვის განმავლობაში, რაც „რვიანი“ არსებობდა, კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალებმა თქვეს, რომ ქვეყანაში ვითარების შესაცვლელად აუცილებელია არჩევნების გარემოს გაუმჯობესება. არჩევნებში მონაწილეობის არმიღება წამგებიანია. ამ პროცესს ბევრი კრიტიკოსი ჰყავდა. მათ შორის, ნინო ბურჯანაძის პარტია და „ქართული პარტია“, რომლებიც რადიკალური ნაბიჯებიდან გადახვევას არ აპირებდნენ. ისინი აცხადებდნენ, რომ აზრი არ აქვს არჩევნებში მონაწილეობას, ხელისუფლება უნდა დაამთავრონ და შემდეგ ჩაატარონ სამართლიანი არჩევნები.

ჩვენ ამ მოსაზრებას არ ვიზიარებდით. დღევანდელი ხელისუფლებაც სათავეში მოვიდა არჩევნების ობიექტურად ჩატარების ეგიდით, არჩევნების შემდეგ მოწყობილი რევოლუციით. მაგრამ როდესაც ერთი ხელისუფლება ემხობა მეორე პოლიტიკური ძალის მიერ რევოლუციის გზით, რევოლუციურ ფონზე მოსული ხელისუფლება ყველაფერზე ფიქრობს, გარდა სამართლიანი არჩევნების ჩატარებისა. ვიღებთ ახალ მონოპოლიურ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ხელისუფლების სრულ მონოპოლიზებას ახდენს. ეს არის ის, რაც დღეს გვაქვს საქართველოში.

***— რადიკალური ოპოზიციის არჩევნებში მონაწილეობის მიღება იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ისინი მიხვდნენ, რომ რადიკალიზმს არჩევნებში მონაწილეობა სჯობს?***

— მე ამას მხოლოდ მივესალმები. სიტუაციის რადიკალიზაცია მხოლოდ აზარალებს ვითარებას. 2009 წლის 9 აპრილის აქციების დროს, ხელისუფლების რეიტინგი თბილისში 15%-ს არ აღემატებოდა. როდესაც რადიკალიზაციას შედეგი არ მოჰყვა, ნოემბრის ბოლოს, ხელისუფლების რეიტინგი გაორმაგდა. ამან ოპოზიციური ბრძოლის ფორმატი დააზარალა. თუ ეს პოლიტიკური ძალები ჩათვლიან, რომ ეს გზა არასწორია, ამას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

***— ამ შემთხვევაში ოპოზიციის შიგნით კონკურენცია არ გაიზრდება და ერთმანეთის მიმართ ტალახის სროლა არ დაიწყება?***

— სამწუხაროდ, ამას ვერ ავცდებით. უბრალოდ, ეს ნამდვილად არ მოხდება ჩვენი მხრიდან.

***— რატომ? თქვენ ნეიტრალური პოზიცია გაქვთ?***

— ჩვენ არ ვთვლით საჭიროდ და კატეგორიულად გამოვრიცხავთ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრთან კამათსა და ტალახის სროლას.

***— თუ პოლიტიკური განცხადებებით დაგარტყამენ, ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცევით?***

— პოლიტიკურ განცხადებას პოლიტიკური განცხადებით ვუპასუხებთ.

***— მუდმივად თავდაცვის რეჟიმში რატომ ხართ?***

— თავდაცვის რეჟიმში არ ვართ. თავდაცვის რეჟიმში არც ჩადგომის დრო გვაქვს და არც — სურვილი. ამის აუცილებლობას არ ვხედავთ და სულელურ პოლემიკაში არ შევდივართ.

***— ხშირად რადიკალები ქრისტიან-დემოკრატების მიმართ მწვავე განცხადებებს აკეთებენ, თქვენ კი თავს იცავთ.***

— რადიკალური პოლიტიკური ძალებისთვის და არა მარტო მათთვის, დღეს მთავარ ამოცანას წარმოადგენს ოპოზიციაში პირველობა. ჩვენთვის ეს მოტივაციას არ წარმოადგენს. ყველა რეიტინგისა და ჩატარებული არჩევნების მიხედვითაც ყველა კარგად ხედავს, რომ ამ მიმართულებას ჩვენ უკვე ვფლობთ.

***— მაგაზე რადიკალები ამბობენ, რომ ქრისტიან-დემოკრატებს ხელისუფლების მიერ დაქირავებული სოციალური ჯგუფები გიწერენ მაღალ რეიტინგებს.***

— ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ამას ამბობენ, ხანდახან მაინც უნდა შეხედონ იმ შედეგს, რაც არჩევნებში დგება. უნდა დაინახონ, რომ ჩვენი რეიტინგები პროპორციულია იმ შედეგებისა, რომლებსაც პარტია არჩევნებში იღებს.

***— მართალია, რომ ქრისტიან-დემოკრატები, მრეწველები, ედპ და „ჩვენ თვითონ“ მომავალ არჩევნებში ერთ ბლოკად გამოხვალთ?***

— ამაზე საუბარი არ არის.

***— თუმცა, ქრისტიან-დემოკრატები ადგილობრივ არჩევნებში ბლოკში გამოხვედით.***

— ეს საკითხი გადაწყდა საარჩევნო კამპანიის დაწყების წინა პერიოდში.

***— ახლაც წინასაარჩევნო პერიოდში გადაწყდება, ვისთან ერთად გადიხართ არჩევნებში? რატომ არ ამბობთ, ვისთან ერთად გახვალთ არჩევნებში?***

— ნამდვილად არ არის ჩამოყალიბებული არაფერი. არაფერს არ ვმალავთ, არანაირი კონსულტაცია და გეგმა ჯერ არ გვაქვს.

***— ძირითადად პარტიები მალავთ, როდესაც ვიღაცასთან ერთად აპირებთ დაბლოკებას. ამის წინასწარ თქმა სირცხვილია?***

— არა, სირცხვილი არ არის. თუ გადავწყვეტთ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან დაბლოკებას, ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე ახლო პერიოდში. ბევრი რამ გვაქვს 1 წლის მანძილზე გასავლელი. 2012 წელი ბევრი ცვლილებების წელი იქნება არამარტო ოპოზიციის, არამედ ხელისუფლებისთვისაც. ბევრი რამ შეიცვლება. რაც შეხება იმას, ვინც ხელი მოაწერა საარჩევნო შეთანხმებას. ეს არ იყო ხელისუფლების შემოთავაზება, ამ შეთავაზების აბსოლუტური უმრავლესობა „რვიანის“ ფორმატიდან იყო, რასაც ხელისუფლება დათანხმდა. ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ ამ 100%-დან 50%-ზე თანხმდება, 50%-ს არ დათანხმდა. ჩვენ ან 50% უნდა მიგვეღო და 50%-ით გაგვეუმჯობესებინა რეალობა, ან არ მიგვეღო და დავრჩენილიყავით ნულზე. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ნულზე დარჩენას 50%-ის მიღება ჯობია. გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა თქვეს, რომ 50% არ გვინდა, „ექვსიანს“ ვგულისხმობ და სხვა პარტიებს, რომელთაც წარმატებას ვუსურვებთ. თუ ისინი გარედან მოახდენენ ხელისუფლებაზე ზემოქმედებას და უფრო მეტს დაათმობინებენ, კარგი იქნება. ისინი თუ ამას ვერ გააკეთებენ, მაშინ ცოტა უხერხული მდგომარეობა შეიქმნება. თუ ვერ მიაღწიე უფრო მეტს, თან არჩევნებში იღებ მონაწილეობას და თან ჩვენ უნდა გვლანძღო, ეს არაფერში აღარ ჯდება.

***— „რვიანი“ ითხოვდა დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას?***

— „რვიანი“ დეპუტატების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობას ხედავდა.

***— ალასანიას პარტია ამბობს, რომ ისინი არ ითხოვდნენ დეპუტატების რაოდენობის გაზრდას.***

— ახლა, როდესაც ამ სიტუაციის პოლარიზება მოხდა, ბუნებრივია, ზოგი ცდილობს მიღწეული შედეგის დაკნინებას. კონკრეტულად ალასანიას პარტიის სახელით შეიძლება ვერ გავიხსენო განცხადება, მაგრამ „რვიანში“ დეპუტატების რაოდენობის გაზრდის საკითხი პოზიტიურად განიხილებოდა. ეს ვარიანტი — 107 პროპორციული და 83 მაჟორიტარული, ნამდვილად არ არის სამართლიანი გადაწყვეტა, მაგრამ ეს ბევრად სჯობს 75-75-ს.

***— სექტემბერში, დეპუტატების რაოდენობის გაზრდას მხარს დაუჭერთ?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ მაგ საკითხზე შევთანხმდით. მე კიდევ უფრო სხვა კონფიგურაციით არჩევას დავუჭერდი მხარს.

***— დეპუტატთა 200-მდე გაზრდას ხომ არ გულისხმობთ?***

— არა! მაჟორიტარების არჩევნებთან დაკავშირებით ცოტა სხვა სისტემას ვემხრობი. ბიომეტრიული მონაცემებითა და პასპორტებით არჩევნების ჩატარებას მხარს ვუჭერ. მაგრამ ხელისუფლებასთან ულტიმატუმების ენით საუბარი სწრად არ მიმაჩნია.

***— ოპოზიციური „ექვსიანი“ არჩევნებში ერთ ბლოკად გამოვა?***

— თუ არ ვცდები, მსგავსი განცხადებები გაკეთდა.

***— თუ ასეთი დიდი ბლოკი თუ შეიქმნება, ის ქრისტიან-დემოკრატების ძლიერი კონკურენტი არ იქნება?***

— არა. ჩვენი ძირითადი კონკურენტი ვერ იქნება.

***— რატომ ვერ იქნება? თქვენ და ალასანიას პარტიას ხომ ერთი და იგივე ნიშა გაქვთ?***

— ერთი და იგივე ნიშა არ გვაქვს! ქრისტიან-დემოკრატებს და ალასანიას პარტიას ნამდვილად ვერ გვექნება ერთი და იგივე ნიშა.

***— ორივე ხომ ხელისუფლების ცივილიზებული ფორმით შეცვლას მოითხოვთ?***

— მხოლოდ ხელისუფლების ცივილიზებული ფორმით ცვლილება არ ნიშნავს, რომ ერთი ნიშა გვაქვს. ჩვენ ვართ ტრადიციებზე ორიენტირებული, კონსერვატიული მიდგომებით, ქრისტიან-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დამყარებული პოლიტიკური ძალა. ალასანიას პარტია არის ლიბერალური პოლიტიკური ძალა. ჩვენ საზოგადოებრივი განვითარებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების განსხვავებული ხედვა გვაქვს.

***— ამომრჩეველს თქვენი პარტიული იდეოლოგია ნაკლებად აინტერესებს.***

— ამას ძალიან კონკრეტული სახელი ჰქვია: მე საქართველოში გეი-პარადის ჩატარებას არ დავუშვებ და ვთვლი, რომ ეს არასოდეს უნდა მოხდეს.

***— რა, ალასანიას პარტია ამას ეთანხმება?***

— ლიბერალური პარტიების მიდგომა გაცილებით უფრო ლიბერალურია. მე უბრალოდ მაგალითი გითხარით. ქრისტიან-დემოკრატები ვამბობთ, რომ მართლმადიდებელ რელიგიას საქართველოში ოფიციალური სტატუსი უნდა ჰქონდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ არ გვაქვს თანხმობა ლიბერალურად მოაზროვნე ძალებთან, რომლებიც თვლიან, რომ როგორც მართლმადიდებლობა, ისე იეღოველობა ერთ ნიშაში უნდა იყოს.

***— 2012 წლის არჩევნების შემდეგ 5%-იან ბარიერს რამდენი ოპოზიციური პარტია დაძლევს?***

— არ ვიცი, ეს რთული საკითხია, სხვაზე საუბარი მიჭირს.

***— თქვენ იქნებით მომავალ პარლამენტში?***

— რასაკვირველია, ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ.

***— რამდენ პროცენტს აიღებთ?***

— რაც მეტი იქნება, მით უკეთესი.

# ნიკოლაიშვილის უწყებამ 912 მლნ ლარი დახარჯა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 2010 წელს ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე 912 მლნ ლარი დახარჯა.



როგორც გუშინ გამართულ პრეზენტაციაზე მინისტრმა რამაზ ნიკოლაიშვილმა განაცხადა გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დასაქმებულთა რაოდენობამ 31 100 კაცი შეადგინა.

მინისტრის თქმით, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობა, საავტომობილო გზების, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა და რეაბილიტაცია, ბაქო-თბილისი ყარსის ახალი სარკინიგზო ხაზის მშენებლობარეაბილიტაცია და წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. აღნიშნულ სფეროებში 2009 წლის განმავლობაში ჯამში 812 მლნ ლარის ინვესტიცია განხორციელდა და 23 900 ადამიანი დასაქმდა. 2011 წლის ბოლოსთვის კი სამინისტროს 44 400 დასაქმებული ეყოლება, ხოლო განხორციელებული ინვესტიციის რაოდენობა 1 386 მლნ ლარს მიაღწევს.

2009-2010 წლებში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ 80 კმ ჩქაროსნული ავტომაგისტრალი ააშენა; რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 000 კმ საავტომობილო გზას; აშენდა 33 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 178 ხიდს; შენდება 4 და რებილიტაცია უტარდება 1 გვირაბს; ბაქო-თბილისი ყარსის სარკინიგზო მაგისტრალზე პროექტით გათვალისწინებულია 25 კმ ახალი რკინიგზის მშენებლობა და არსებული 160 კმ-ს რეაბილიტაცია;

გარდა ამისა, წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტები მიმდინარეობს საქართველოს 27 მუნიციპალიტეტში. ასევე, დაიწყო წყალმომარაგების სისტემის სრული რეაბილიტაცია საქართველოს 6 დიდ ქალაქში.

სამინისტროს პროგნოზით, 2012 წლისთვის 1 838 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელება და 62 500 ადამიანის დასაქმება იგეგმება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დასაქმებული ადამიანების უმრავლესობა, რეგიონებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობაა.

**ინტერპრესნიუსი**

# „დაანებეთ თავი „მარიოტში“ სიარულს და წადით ხალხთან“

## რას ურჩევს ექსპერტი ირაკლი სესიაშვილი ოპოზიციას

**საქართველოში ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ „ახალი თაობა" ექსპერტ ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.**

ნონა ცაბაძე



*— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებთ ტელეანძის თემას, რომელიც ბოლო დროს ძალიან აქტუალური გახდა?*

— თავად პროცესმა აჩვენა, რომ ანძის გაყიდვა დაკავშირებულია ხელისუფლების ვიწროპოლიტიკურ ინტერესებთან და ის შეიცავს სერიოზულ რისკებს თავისუფალი მედიის წინააღმდეგ. ამიტომ ფაქტია, რომ ეს იყო კორუფციული სქემა, როდესაც მოხდა გარიგებით ანძის გაურკვეველი ორგანიზაციისთვის გადაცემა, რასაც თან ერთვის ის, რომ შინაარსი და პერსპექტივები ანძისა ბუნდოვანია და მკაფიო ფორმულირება არ არის, თუ რა ბედი ეწევა ანძას. ეს ყველაფერი კეთდება ზაფხულში იმიტომ, რომ არ მიიღოს ხელისუფლებამ პროტესტი და შემდგომ უკვე, როდესაც საქმეს დასჭირდება, ჩაირთოს მანქანა თავისუფალი მედიის და საზოგადოების წინააღმდეგ. ყველაფერი, რაც დღეს ხდება, გამიზნულია და უკავშირდება არჩევნებს. ხელისუფლებას სურს, რომ არჩევნებამდე მივიდეს ისე, რომ მაქსიმალურად გაანეიტრალოს ყველა ის დისკომფორტი, რომელიც მას ექმნება, ან შეიძლება შეექმნას არჩევნების წინ. ამიტომ ეს პროცესი, სავარაუდოდ, 5-6 თვე კიდევ გაგრძელდება, სანამ არჩევნებს კიდევ უფრო მივუახლოვდებით.

*— კონკრეტულ ტელევიზიებს შეეხებათ ეს ზეწოლა?*

— სხვა შემთხვევაში აზრი არ ჰქონდა ამ კორუფციული სქემის გათამაშებას, იმიტომ, რომ თუ ეს ყველაფერი არაფერს შეცვლის თავისუფალი მედიის კუთხით და არ წარმოქმნის პრობლემებს, მაშინ რა აზრი ჰქონდა ანძის ყიდვას, ან გაყიდვას და იმ 12 მილიონის დახარჯვას? ყველა კარგად ვხვდებით, რომ ნაციონალური მოძრაობის ჯიბიდან უნდა გავიდეს ეს 12 მილიონი.

*— თქვენც ფიქრობთ, რომ რეალური მფლობელი მაინც ხელისუფლებაა?*

— ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, ვფიქრობ, რომ ის რეალურად ვერ აფასებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. ჩვენ ქვეყანაში გვყავს პოლიტიკური მაფია, რომელმაც პოლიტიკური მხარდაჭერით გადაიფორმა ქვეყანა და საქართველო აქცია კერძო საკუთრებად. ნებისმიერი მსხვილი ბიზნესი იქნება თუ სხვა სტრატეგიული ობიექტი, რომელიც ქვეყანაში არსებობს, ამ პოლიტიკურმა მაფიამ ძალიან მარტივად ხელში ჩაიგდო, აკონტროლებს და ალბათ შეეცდება, რომ ბოლომდე შეინარჩუნოს.

*— როგორი იქნება დასავლეთის პოზიცია?*

— ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, მისთვის სასურველი გარემო შეინარჩუნოს არჩევნებამდე. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნების შემდგომ ეს ხელისუფლება დასავლეთის თვალში ოფიციალურად დიქტატურად გამოცხადდება. ამიტომ ხელისუფლება უკვე გამიზნულად და გააზრებულად აღარ ითვალისწინებს დასავლეთის პოზიციებს და ცდილობს რომ როგორმე მიაღწიოს არჩევნებამდე ისე, რომ ამ ხელისუფლებას საერთაშორისო საზოგადოებამ დიქტატურა არ უწოდოს. ვფიქრობ, რომ ოპოზიციურმა პოლიტიკურმა ძალებმა უნდა გააგრძელონ სერიოზული ბრძოლა, რათა მეტ-ნაკლებად სამართლიანი გარემოთი მივიდნენ არჩევნებამდე. არჩევნების შემდგომი პერიოდი გაცილებით რთული იქნება, ამიტომ, ყველანაირი კრიზისისთვის უნდა ვიყოთ მზად.

*— თქვენ აცხადებთ, რომ არჩევნების შემდეგ დასავლეთი ამ ხელისუფლებას დიქტატურად გამოაცხადებს. რა შეიცვლება ამით?*

— სულ უფრო უარესს უნდა ველოდოთ. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდგომ მე მქონდა მოლოდინი, რომ ეს ხელისუფლება გამოფხიზლდებოდა და იფიქრებდა არა დღევანდელ კვერცხზე, არამედ ხვალინდელ ქათამზე, მაგრამ ეს ხელისუფლება პოლიტიკურად გაუმაძღარი აღმოჩნდა და შემდგომმა პროცესებმა დაგვანახა, რომ სულ უფრო უარესდება ცხოვრება ქვეყანაში და სულ უფრო მეტი მადა აქვს ხელისუფლებას საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ყველაფრის მონოპოლიზაცია ხდება, ყველაფერი ხელისუფლების კონტროლის ქვეშ გადადის. მას შემდეგ, რაც დასრულდება დიდი, საშუალო და მცირე ბიზნესების ხელისუფლების კონტროლის ქვეშ გადასვლა, უკვე რიგით მოქალაქეებსაც მიადგებიან, თუ უკვე არ მიადგნენ. ხელისუფლებას დღეს ამოცანა აქვს, რომ 2012 წლის არჩევნები მისთვის სასურველი შედეგით დაასრულოს. ამის შემდგომ, თუ რაღაც პოლიტიკური ბალანსი არ იქნება ქვეყანაში, დიქტატურა გარდაუვალი იქნება და ძალიან რთული ცხოვრება დაუდგება ჩვენს ქვეყანას.

*— ბატონო ირაკლი, თუ ხედავთ იმის შანსს, რომ 2012 წლის არჩევნები ხელისუფლებისთვის წარმატებით არ დასრულდეს?*

— ერთადერთი შანსი არის ის, რომ ჩვენი მოსახლეობა აზრზე მოვიდეს. მიხვდეს, რა ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე და რა პერსპექტივები ელის ამ ქვეყანას ამ ხელისუფლების პირობებში. მიუხედავად შიშისა, მიუხედავად ზეწოლისა, მიუხედავად ხელისუფლების მიერ მოსახლეობის მოსყიდვისა, რომელსაც ადგილი ექნება არჩევნებამდე, საზოგადოებამ, ჩვენმა მოსახლეობამ გონივრულად იმოქმედოს და ხმა არ მისცეს ხელისუფლებას და ხმა მისცეს მისთვის სასურველ კანდიდატებს. ამ შემთხვევაში, მიუხედავად გაყალბებისა, მეტ-ნაკლებად ბალანსირებულ პარლამენტს მივიღებთ და ეს მოგვცემს შანსს, რომ ის აგრესია, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია და მუდმივად ჩასაფრებულია, თუ როდის გამოვა საზოგადოების წინააღმდეგ, ეს აგრესია გადავა პარლამენტის შენობაში. ბალანსირებული პოლიტიკური სიტუაცია მისცემს საზოგადოებას და ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალებას.

*— ოპოზიციონერი ლიდერები გვპირდებიან, რომ შემოდგომიდან რადიკალურად შეიცვლება პროცესები.*

— მე როდესაც ოპოზიციონერ ლიდერებს ვხვდები, მათ პირდაპირ ვეუბნები:

დაასრულეთ შეხვედრები „მარიოტში“, „ქორთიარდში“, „მეტეხში“ და ასე შემდეგ, წადით ხალხთან. ჩვენ რომ გვხვდებიან, ამას აზრი აღარ აქვს. მე მხედველობაში მაქვს ექსპერტები და საზოგადოების აქტიური წევრები. ჩვენთვის ყველაფერი ისედაც ნათელია, ჩვენ ყველა ერთად ვხედავთ რისკებს. მთავარი პრობლემა დღეს არის ხალხი. ხელისუფლება რომ ცუდია, ამას ყველა ვკითხულობთ. საკითხი დგას ასე — როგორ დავძლიოთ კრიზისი. კრიზისის დაძლევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას, ხალხს მოვამზადებთ და დავანახვებთ სწორ გზას. ამიტომ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იმუშავებს ოპოზიციური ძალა ხალხთან.

*— გადამწყვეტ დღედ არჩევნების დღე მიგაჩნიათ?*

— არჩევნებამდეც მნიშვნელოვან მოვლენებთან გვექნება საქმე. გამოწვევევბი იქნება ქვეყნის წინაშე და ვნახოთ, რა იქნება. დღეს დასავლეთს აქვს მნიშვნელოვანი როლი. მეტიც, ამ შემთხვევაში მათ შეიძლება ჰქონდეთ გადამწყვეტი როლი ვითარებაში.

*— რა კუთხით?*

— იმ კუთხით, რომ თუკი დასავლეთი არ მოერიდება და პრინციპულ სიგნალს გამოუშვებს, რომ თუ ეს არჩევნები იქნება არადემოკრატიული, ჩვენ არ ვცნობთ ამ არჩევნებს და გადავალთ დაპირისპირების რეჟიმში, ეს აიძულებს ხელისუფლებას მეტ-ნაკლებად წამოვიდეს დემოკრატიულ არჩევნებზე.

# რა სიახლეს სთავაზობს „ექვსიანი“ ხელისუფლებას

## „ჩვენ ვითხოვთ მხოლოდ საარჩევნო სიის ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე შედგენას“



ნონა ცაბაძე

**ინტერვიუ
კობა დავითაშვილთან**

*— ბატონო კობა, როგორც უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, „ექვსიანის“ წინადადებები ხიფათის და რისკის შემცველია. რას გულისხმობდა ის ამაში?*

— ბატონ კუბლაშვილს, მგონი, საერთოდ არ წაუკითხავს ჩვენი წინადადებები და მას ასე გადასცეს — იმ „ექვსიანმა“ კიდევ რაღაცა თქვა ბიომეტრიაზე და აბა რას იტყვიო. მან პასუხი გასცა ჩვენს ძველ ვარიანტს, როცა ვითხოვდით ბიომეტრიული პირადობის მოწმობებით არჩევნების დღეს ხმის მიცემას. ჩვენი მოთხოვნა ახლა არის მინიმალისტური — ჩვენ ვითხოვთ ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე, ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაციით, ამომრჩეველთა სიის შედგენას. ჩვენ არ ვითხოვთ არც პირადობის მოწმობის დამზადებას და დარიგებას, რომელსაც ახორციელებს ხელისუფლება უკვე აგვისტოდან და არ ვითხოვთ არც არჩევნების დღეს ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე შექმნილი პირადობის მოწმობით ხმის მიცემას.

*— არ წამოვიდნენ ბიომეტრიულ პასპორტებზე, მაგრამ შემოიღეს ახალი აისიდი ბარათები.*

— მე კიდევ ერთხელ დავაზუსტებ, რომ ჩვენ პასპორტებს არ ვითხოვთ, ჩვენ ვითხოვთ, რომ ოთხიდან ექვს თვემდე პერიოდში, არჩევნებამდე მოხდეს ყველა ამომრჩევლის წინასწარი რეგისტრაცია, ვინც რეალურად იმყოფება ამ ქვეყანაში. ანუ ყველა გამოცხადდეს საარჩევნო უბანზე, ვისაც არა აქვს საშუალება გამოცხადების, მასთან მივიდეს გადასატანი აპარატი და მოხდეს დაფიქსირება, რომ ეს ადამიანი აქ არის და რეალურად შედის ამომრჩეველთა სიაში და სინამდვილეში არ იმყოფება არც საბერძნეთში, არც რუსეთში, მუდმივ საცხოვრებელ, ოღონდ არალეგალურ საცხოვრებელ მდგომარეობაში.

*— ალბათ არ წამოვა ამაზე ხელისუფლება.*

— რა თქმა უნდა, ეს იქნება ღია განცხადება, რომ ჩვენ გვინდა გაყალბება, იმიტომ, რომ მანამდე ხელისუფლებას ჰქონდა არგუმენტი, რომ ეს ძვირია, 200 მილიონი ჯდება და ამას უნდა 4 წელი. ჩამოვიდნენ მსოფლიოს ლიდერი წამყვანი კომპანიის წარმომადგენლები ამ სფეროში, რომლებმაც განაცხადეს, რომ ამას

გაგრძელება მე-6 გვერდზე



# შირანიანი სააკაშვილს სომხების შეურაცხყოფაში ადანაშაულებს

თეა მარხვაი ე

**ჩვენებურმა ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილი პროსომხური პოლიტიკის გატარებაში დაადანაშაულა. ასეთი განცხადებები ადრეც კეთდებოდა. 5 ივლისის შემდეგ კი ამ მხრივ ვითარება უფრო გამწვავდა. იმ დღეს სააკაშვილმა ხელი მოაწერა პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რომელიც სომხურ და არა მარტო სომხურ ეკლესიას გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებს.**



ამის გამო ჩვენს დეპუტატებს და მიხეილ სააკაშვილს ეჩმიაძინმა მადლობა გადაუხადა. ერთ-ერთმა სომხურმა საიტმა კი ჩვენი პრეზიდენტი ცნობილ სომეხად გამოაცხადა.

თუმცა, სომხური მხარე მიხეილ სააკაშვილით კმაყოფილი მაინც არ დარჩა. ამ დღეებში პოლიტოლოგმა შირანიანმა სომეხი ერის შეურაცხყოფაში დაადანაშაულა.

სომეხმა პოლიტოლოგმა ეს განცხადება სააკაშვილის ინტერვიუს შემდეგ გააკეთა. საქართველოს პირველმა პირმა ინტერვიუ აზერბაიჯანულ გამოცემა „ბიზნეს იარს“ მისცა.

— საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სომხეთის მიმართ იგივე პოლიტიკას ატარებს, რასაც მენშევიკური საქართველო 1918-1920 წლებში, — აცხადებს ლევონ შირანიანი.

პოლიტილოგი ამტკიცებს, რომ სააკაშვილი ყველაფერს აკეთებს, რათა ერევანს პრობლემები შეუქმნას.

— საქართველო ცდილობს, სომხეთში შექმნილი მდგომარეობით ისარგებლოს და ბევრ საკითხთან დაკავშირებით ერევანს უკან დაახევინოს, — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მისი მტკიცებით, საქართველოს პრეზიდენტმა თავისი განცხადებით ამ ქვეყანაში მცხოვრებ სომხებს შეურაცხყოფა მიაყენა. შეურაცხმყოფელი კი სააკაშვილის ის ფრაზა ყოფილა, სადაც ის საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობაზე საუბრობს.

— საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველა ოპონენტი ჩვენი ქვეყნების მტერია, — განაცხადა ჩვენმა პრეზიდენტმა.

მის ამ განცხადებას ბაქოში კმაყოფილებით შეხვდნენ. სომხეთში კი, ბუნებრივია, არ მოეწონათ.

ლევონ შირანიანმა არც თავისი ქვეყნის ხელისუფლება დაინდო. მან უკმაყოფილება გამოთქვა სომხეთის საგარეო უწყების მიერ საქართველოს მიმართ არსებული დამოკიდებულების გამო.

— საქართველოსთან დაკავშირებით ოფიციალური ერევნის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ არ იმუშავა, — ამბობს პოლიტოლოგი შირანიანი.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ინტერვიუს, ის რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნდა. იქ ჩვენი პირველი პირი ბევრს საუბრობს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობაზე.

— საქართველო და აზერბაიჯანი, გეოგრაფიული და საერთო ისტორიის გათვალისწინებით, ერთად უნდა იდგნენ. ჩვენ საერთო ხედვებს ვიზიარებთ და გვაქვს მჭიდრო კავშირები. დარწმუნებული ვარ, ერთობის წყალობით, ჩვენი ქვეყნები საუკეთესო მომავალს შექმნიან. ჩვენს ქვეყნებს სერიოზული პრობლემები აქვთ გადაუწყვეტელ კონფლიქტებთან დაკავშირებით და საქართველოსა და აზერბაიჯანის ყველა ოპონენტი ჩვენი ქვეყნების მტერია. ჩვენი ძალა ერთობაშია და ეს უბრალოდ სიტყვა არაა, ეს რეალობაა, — აცხადებს მიხეილ სააკაშვილი ინტერვიუში.

საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრობას დიდი ისტორია გააჩნია და მან სერიოზულ გამოცდას გაუძლო.

— 2008 წლის იანვარში, როდესაც საქართველო ელექტროენერგიისა და გაზის გარეშე დარჩა იმ მიზეზების გამო, რომლებიც ჩემთვის დღემდე გაუგონარია, აზერბაიჯანმა ქართველ ხალხს იმ ცივ ზამთარში დახმარება გაუწია იმის მიუხედავად, რომ აზერბაიჯანს საკუთარი მოსახლეობისთვის მოუხდა გაზის მიწოდების შემცირება. საქართველო აზერბაიჯანელი ხალხის ამ დახმარებას არასოდეს დაივიწყებს. ეს არის არა მხოლოდ სტრატეგიული პარტნიორობის შედეგი, არამედ ჩვენი ძმობის სიმბოლო, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, ბოლო წლებში საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობამ მაქსიმალურ პიკს მიაღწია და ამ მიმართულებით მუშაობა გაგრძელდება.

მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ორ ქვეყანას შორის არსებული ეს ურთიერთობა რეგიონის სტაბილურობასა და განვითარებას ხელს შეუწყობს. პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს არის ახალი სტარტი უდიდესი პარტნიორობის, მეგობრობისა და ძმობისა.

სომხეთი და აზერბაიჯანი დღეს თითქმის საომარ მდგომარეობაში არიან. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია ის უკმაყოფილება, რომელიც ამ ინტერვიუმ სომხებში გამოიწვია.

სომხები აზერბაიჯანის ოპონენტები არიან. რაც იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ჩვენი მტრები არიან. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთში სერიოზული ანტიქართული განწყობა შეიქმნა.

საქართველოს ხელისუფლება ჯერჯერობით ლევონ შირანიანის განცხადებას არ გამოხმაურებია. ჩვენებურებს ამისთვის არ ეცალათ.

# რა სიახლეს სთავაზობს „ექვსიანი“ ხელისუფლებას

დასაწყისი მე-5 გვერდზე

უნდა მაქსიმუმ 8 მილიონი დოლარი ოთხიდან ექვს თვემდე. დღეს ხელისუფლებას აღარ აქვს არგუმენტი, რომ ეს ძვირია და აღარ აქვს არგუმენტი, რომ დრო არა გვაქვს. ანუ ფულიც აქვთ, დროც აქვთ, უბრალოდ, სურთ გაყალბება. მაშინ ჩვენც ღიად განვაცხადებთ, რომ დავიწყებთ მზადებას საერთაშორისო არცნობისთვის ამ გაყალბებული არჩევნებისა. ამის წინასწარი მონაცემები უკვე არსებობს. არსებობს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომ თუ ხელისუფლება და ოპოზიცია ვერ შეთანხმდნენ, ასეთი არჩევნები დემოკრატიულად ვერ ჩაითვლება. ასევე არსებობს განცხადებები ამერიკის ელჩისა და თვითონ სააკაშვილმაც აღიარა, რომ ის კორუფციული გარიგება, რომელიც მან გააფორმა ქრისტიან-დემოკრატებთან და ახალ მემარჯვენეებთან, ოპოზიციასთან შეთანხმებად ვერ ჩაითვლება, მისი ულტიმატუმის დონის გამო, მისი კორუფციულობის გამო და იმის გამო, რომ საერთოდ იქ იმ კორუფციულ დოკუმენტზე ხელმომწერი ჰყავს მხოლოდ ოთხი კვალიფიციური სუბიექტი, როდესაც ექვსი აქეთ არის. აქედან გამომდინარე, იმ გარიგების გაფორმება საყოველთაო შეთანხმებად ოპოზიციისა არ გამოუვიდა ხელისუფლებას. ასე რომ, ძალაში რჩება ეს განცხადება, რომ შეთანხმება არ არსებობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის და ასეთი არჩევნები დემოკრატიულად ვერ ჩაითვლება.

***— როდესაც 8 ივლისს შეიკრიბეთ და შეიქმნა ახალი კოალიცია, თქვენ აცხადებდით, რომ საკმაოდ აქტიურები იქნებოდით. დღეს ექსპერტები აცხადებენ, რომ მათ იმედები გაუცრუვდათ და „ექვსიანის“ აქტიურობა არ ჩანს.***

— მაპატიეთ, მაგრამ ეს ექსპერტები, ჩვენ რომ აქციებზე დავდივართ, მაგალითად ანძაზე, იქ არ მოდიან, სცხელათ.

***— 2012 წელი გადამწყვეტი არჩევნები იქნებაო. რამდენად აქტიური იქნება საზოგადოება ამ დროისთვის?***

— რა თქმა უნდა, ჩვენ მაგას ვამბობდით ყოველთვის, რომ სწორედ 2012 წლის არჩევნების დღე არის გადამწყვეტი ბრძოლის დღე და საჭიროა არა ხალხის შეკრება ერთ რომელიმე ადგილას, არამედ ყველა უბანზე უნდა გაიმართოს ბრძოლა და ეს უფრო რთულია, ეს უფრო მეტ ცოდნას მოითხოვს, მეტ გამოცდილებას მოითხოვს, მეტ თავდადებას მოითხოვს, მეტ თავგანწირვას მოითხოვს. შემოდგომიდან პოლიტიკური ცხოვრება უფრო გააქტიურდება.

***— რამდენად აქტიური იქნება შემოდგომაზე „ექვსიანი“, რა გეგმები გაქვთ?***

— ჩვენი გეგმები ცნობილია, ჩვენ ხალხში ვაპირებთ გასვლას და ვაპირებთ ვიყოთ აქტიურები ბოლომდე, იქნება ეს რეგიონებში გასვლა, თბილისში შეხვედრები, აქციები, მანიფესტაციები თუ კანონპროექტები. ყველა მეთოდს გამოვიყენებთ. მთავარი ის არის, რომ ჩვენს პოლიტიკურ კოალიციას, რომელსაც „თავისუფალი არჩევანი“ ჰქვია, არ აქვს არანაირი წინასწარი შეზღუდვები, რომ მე იმას არ გავაკეთებ და ამას არ გავაკეთებ. ყველა მეთოდი პოლიტიკური ბრძოლისა იქნება გამოყენებული.

***— თუ მაინც არ დათმო სააკაშვილმა?***

— მაშინ გადავალთ მეორე გეგმაზე, რომელიც გულისხმობს მის დელეგიტიმაციას არჩევნების დღეს.

***— ფაქტია, რომ სააკაშვილის სურვილია, კიდევ დიდხანს შეინარჩუნოს ხელისუფლება.***

— ეხლა გიჟი მიუშვით ნებასაო, ხომ იცით...

# აფხაზმა ვეტერანებმა შამბას ზურგი აქციეს

**სამ ჯვიიაში აფხაზეთში საპიეზიდენტო აიჩევნები ტაიდება. კანდიდატებმა თავიანთი პიოგიამა უკვე წაიმოადგინეს. პაიტიებმაც აიიჩიეს თავიანთი სიმპათიები. აიჩევანი გააკეთეს ვეტეიანებმაც, იომელთა სიტყვასაც აფხაზეთში დიდი ფასი აქვს. აქ ვეტეიანთა ოიი ოიგანიზაცია ფუნქციონიიებს — „აიუა" და „ამცახაია".**

თეა მარხვაი ე



ამ არჩევნებზე ომის ვეტერანების მხარდაჭერით ვერ ისარგებლებს სერგეი შამბა, რომელიც გასულ წელს ყველაფერს აკეთებდა ვეტერანთა გულის მოსაგებად, ძალიან აქტიურობდა ამ მიმართულებით, თუმცა, საპირისპირო შედეგი მიიღო. ის ვეტერანების რიგებში განხეთქილების შეტანაში დაადანაშაულეს და ალბათ ამიტომაც ვერ მოიპოვა წინასაარჩევნოდ ვეტერანთა მხარდაჭერა.

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ სამამულო ომის ვეტერანთა კავშირი „ამცახარა“ საპრეზიდენტო კანდიდატ ალექსანდრე ანქვაბს უჭერს მხარს.

— „ამცახარა“ ყოველთვის მხარს უჭერდა კანდიდატს, რომლისთვისაც მთავარი არა ხელისუფლება, არამედ სახელმწიფოს ინტერესები, მისი უსაფრთხოება და კეთილდღეობა იყო. ქვეყანას ბრძენმა, სინდისიერმა, მამაცმა და პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსმა უნდა უხელმძღვანელოს, ადამიანმა, რომელსაც შეუძლია, ერი შეკრას. დარწმუნებული ვართ, რომ სწორედ ალექსანდრე ანქვაბს შეუძლია სერგეი ბაღაფშის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელება. შექმნას, გაზარდოს და დაიცვას რესპუბლიკის ღირსება — ალექსანდრე ანქვაბის კრედოა. იგი არა პოპულისტი, არამედ ჭკვიანი და პრინციპული პოლიტიკოსია, რომელიც ცარიელ დაპირებებს არ იძლევა. ალექსანდრე ანქვაბმა იცის, რა უნდა აკეთოს, — ნათქვამია „ამცახარას“ განცხადებაში.

„ამცახარას“ ამ გადაწყვეტილებამ ქართველ ექსპერტებს ბაღაფშის მიერ განვლილი გზა გაახსენათ. „ექსპერტთა კლუბის“ შეფასებით, პრეზიდენტობის კანდიდატი ალექსანდრე ანქვაბი იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური რესურსების მობილიზებას აგრძელებს, რომლებსაც გარდაცვლილი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ეყრდნობოდა.

„ექსპერტთა კლუბში“ მიიჩნევენ, რომ ალექსანდრე ანქვაბის მთავარმა მეტოქემ — აფხაზმა პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ თავისი წინასაარჩევნო აქტივისთვის ვეტერანთა ავტორიტეტის მიმატების ყოველგვარი შანსი დაკარგა, რადგანაც ვეტერანთა მეორე ორგანიზაცია „არუაა“ რაულ ხაჯიმბას უჭერს მხარს.

თუმცა, ვეტერანების მიმართულებით შამბას მდგომარეობა არც ისეთი უიმედოა. მას მხარს ბაგრამიანის სომხური ბატალიონის მებრძოლები დაუჭერენ. მათ გარდა, შამბას მხარს აფხაზეთის სათვისტომოც დაუჭერს. ამის შესახებ განცხადება აფხაზეთის ეროვნულმა გმირმა გალუსტ ტრაპიზონიანმა გააკეთა.

წინა არჩევნებში აფხაზეთის სომხურმა სათვისტომომ მხარი სერგეი ბაღაფშს დაუჭირა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ხაჯიმბას არ გაემარჯვა. ხაჯიმბა აფხაზეთში მცხოვრები სომხების მიმართ ყოველთვის აგრესიას ავლენდა. უშიშროების მინისტრად მუშაობის დროს მან რამდენიმე ათეული სომხური ოჯახი გააძევა გაგრიდან.

როგორც გაირკვა, ისინი იქ კრასნოდარის მხარიდან და სოჭიდან უკანონოდ ჩასახლდნენ. ხაჯიმბა ამას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. შესაბამისად, ის სომხური სათვისტომოსთვის მიუღებელი კანდიდატია. იგივე შეიძლება ითქვას ანქვაბზეც, რომელიც თავისი ბუნებით ნაციონალისტია.

შამბა კი მოქნილი პოლიტიკოსია. ის წლების განმავლობაში საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, მართალია, დე ფაქტო რესპუბლიკის, მაგრამ გამოცდილება მაინც შეიძინა, თანაც გასათვალისწინებელია ის, რომ შამბამ დისერტაცია სომხეთში დაიცვა. მას ერევანთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს.



# ინფლაცია კიდევ უფრო შემცირდება

პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის განცხადებით, ივლისში წლიური ინფლაცია 8.5%-მდე შემცირდა, რაც „ძალიან კარგი მაჩვენებელია“.

როგორც გილაურმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, „მიმდინარე წლის დასაწისში ყველაზე მთავარ მაკროეკონომიკურ პრობლემას სწორედ ინფლაცია წარმოადგენდა, რომლის მაჩვენებელიც 2011 წლის დასაწყისიდან მაისამდე პერიოდში 14%-ს გაუტოლდა“.

მისივე თქმით, საერთაშორის ბაზრებზე ფასები დაეცა და შესაბამისად, საქართველოშიც იგივე პროცესს ჰქონდა ადგილი.

— რეალურად ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე შემცირდა, რამაც ინფლაციის ერთნიშნა ციფრზე დაყვანა გამოიწვია. ჩვენი ვარაუდით, აგვისტოში და მომდევნო თვეების განმავლობაშიც იგივე ტენდენცია გაგრძელდება, — განაცხადა გილაურმა.

**პირველი**

## თბილისი ცხინვალის რეფერენდუმს არ ცნობს



საქართველოს მთავრობის წამომადგენლების აზრით, „ნებისმიერი ქმედება, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში განხორციელდება, სამართლებრივი თვალსაზრისით, არალეგიტიმურია“.

სწორედ ასე გამოეხმაურნენ სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილი და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე სერგი კაპანაძე გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს ცხინვალის რეგიონში მისი რუსეთის ფედრაციასთან მიერთების შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას არ გამორიცხავენ.

როგორც ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებს ტყეშელაშვილმა განუცხადა, ნებისმიერი რამ, რაც შეიძლება, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოხდეს, არალეგიტიმურია და იურიდიული თვალსაზრისით, ძალა არ აქვს.

სერგი კაპანაძის განცხადებით კი, „საუბრები ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეფერენდუმის გზით რუსეთთან მიერთების თაობაზე ნათელი დადასტურებაა იმისა, რა მოტივიაცია გააჩნდა რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში რეალურად“.

— თუ ეს მართლაც ასე მოხდა, ეს სერიოზული ნაბიჯია ანექსიისკენ, — დასძინა კაპანაძემ.

**პირველი**

## „ლომაიამ მოკლა ქართული განათლება, შაშკინი კი ასაფლავებს“

### რატომ იხურება სკოლები?

ქეთი ხომერიკი

**ბოლო დროს ბევრი სკოლა დაიხურა და სხვა სკოლებს შეუერთდა. ამას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. „ახალი თაობა“ ესაუბრა განათლების მუშაკთა თავისუფალი პროფესიული კავშირის, „ერთობის“, წარმომადგენელ დავით წიქარიშვილს.**

***— ბატონო დავით, ეს ზაფხული განათლების სისტემის ცვლილებებით აღინიშნა. რა მდგომარეობაა ახლა?***

— ეს ზაფხული სკოლების დახურვითა და მასწავლებელთა და მოსწავლეთა უფლებების ტოტალური დარღვევით დაიწყო. სკოლების დახურვა მიზანშეწონილობისა და სხვა ლოგიკური მოსაზრებების გათვალისწინების გარეშე მოხდა. ეს იმის ნიშანია, რომ ინტელექტუალური გენოციდის დამამთავრებელი ეტაპი დაიწყო.

***— როგორ შეხვდნენ პროფკავშირები, არასამთავრობო სექტორი, საზოგადოება ამ ამბავს?***

— არაერთგვაროვნად. კანტიკუნტად იყო გამოსვლებიც, უფრო რეგიონებში. თბილისში საშინელი უკმაყოფილება გამოიწვია ამან მასწავლებლებს შორის, მაგრამ დიდი და ორგანიზებული პროტესტი არ მოჰყოლია. მასწავლებლებიც ძირითადად უარს აცხადებენ პროტესტის აქტიურ ფორმებზე.

***— რატომ ხართ სკოლების დახურვის წინააღმდეგი? მასწავლებლები და მოსწავლეები ხომ სხვა სკოლაში გადადიან?***

— არ არის ასე მარტივად საქმე. ჯერ ერთი, მოსწავლეთა ნაწილი ან არ გადადის ახალ სკოლაში, ან აღარ აგრძელებს სწავლას. მეორე — პედაგოგების დასაქმების საკითხი დგება ძალიან ცუდად. არავის აინტერესებს მიზანშეწონილობა ან პროფესიონალიზმი, ადამიანის უფლებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იმას, თუ რომელი მასწავლებელი დარჩება სკოლაში და რომელი — არა, ერთპიროვნულად წყვეტს ვიღაც, ვინც ამ სკოლაზე პასუხისმგებელია. შეიძლება ეს იყოს დირექტორი, მანდატური, სამინისტროს თანამშრომელი და სხვა. ეს გაუგებარი მიდგომა თანმიმდევრული რეფორმა ჰგონია ვიღაცას. არადა, ფინანსდება მოსწავლე და არა — მასწავლებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკურ ეფექტს სახელმწიფო მიიღებს მხოლოდ ორ შემთხვევაში — ან მოსწავლეზე გამოყოფილი დაფინანსება უნდა დაუბრუნდეს უკან, ანუ მოსწავლე არ უნდა მივიდეს სკოლაში, ან უნდა მიიღოს შენობის გაყიდვით მიღებული თანხა.

***— განათლების სამინისტრო რით ხსნის სკოლების დახურვას?***

— ეს უკვე კოლაფსია. ამ ხალხის თავდაჯერებული სიბრიყვე დიდი ხანია, ყველას ყელში ამოუვიდა. ეს აღარ არის განათლებისა და მეცნიერების მმართველი ორგანო. არავითარი დიალოგი მასწავლებლებთან, მეცნიერებთან, ზოგადად სისტემასთან.

***— რით ხსნით სამინისტროს ასეთ დამოკიდებულებას?***

— ამისი საფუძვლები იმ დაპირებებში უნდა ვეძებოთ, რასაც წინასაარჩევნოდ აძლევენ ხოლმე ხალხს და მერე არ ასრულებენ. ხალხს რაღაცას რომ დაჰპირდება პოლიტიკოსი შეუსრულებელს, თუ გაიმარჯვა, ან უნდა მინისტრებს დააბრალოს და



მოხსნას ხოლმე ხშირ-ხშირად, ან იმავე ხალხს ისეთი ტერორი უნდა მოუწყოს, რომ ვერავინ გაბედოს შიშით იმ დაპირებათა გახსენებაც კი. ამიტომ ვერ ბედავენ დიალოგს, თავს გავიმასხარავებთო. თანაც, რატომღაც ჰგონიათ, პასუხის მომთხოვნი არავინაა.

***— ბატონ შაშკინის მიმართ თქვენ არ გამოგიხატავთ მკაფიო პოზიცია. არაფერი გაქვთ სათქმელი?***

— პოზიცია როგორ არ მაქვს, მაგრამ არ მინდა რეფორმის ჩემეული შეფასება აირიოს მინისტრის (ან მინისტრებისადმი) ჩვენს დამოკიდებულებაში. რეფორმისადმი ჩემი პირადი განწყობა შეიძლება ასეც ჩამოყალიბდეს — ლომაიამ მოკლა ქართული განათლება, შაშკინი კი ასაფლავებს.

## რატომ დევნის სააკაშვილი ადვოკატებს

### სასამართლო რეფორმისთვის გამოყოფილი თანხა წყალშია გადაყრილი

გულიკო ბალა ე

**ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ზაზა ხატიაშვილის თქმით, სააკაშვილის რეჟიმმა ადვოკატთა კორპუსის განადგურება განიზრახა. ამასთან დაკავშირებით ადვოკატებმა არაერთი აქცია გამართეს. მათ შორის საქართველოში არსებულ ევროსაბჭოს ოფისთან.**

**რა მიზანს ისახავდა ეს აქცია და რას აპირებენ ადვოკატები ამაზე ხატიაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



***— ბატონო ზაზა, საქართველოში ევროსაბჭოს ოფისიდან ვინმე გამოგეხმაურათ?***

— ევროსაბჭოს ოფისის ხელმძღვანელს, ქალბატონ კატერინა ბოლონეზეს შევხვდით ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე და ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრები, ქალბატონი ქეთევან ბექაური და ბატონი მალხაზ ჯანგირაშვილი. პირადად გადავეცით ჩვენი მიმართვა. ქალბატონ კატერინა ბოლონეზეს გადავეცით ასევე ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნასთან დაკავშირებული შემაშფოთებელი ინფორმაცია. შემდეგ ბოლონეზემ ბრძანა, რომ მან იცოდა იმ ორი ადვოკატის დაკავების შესახებ, რომელიც ევროკავშირის წინ ადვოკატთა კორპუსმა გავაპროტესტეთ. ჩვენ ვუთხარით, რომ 122 ადვოკატის მიმართ არის გამამტყუნებელი განაჩენი. ქალბატონი ბოლონეზე შეგვპირდა, რომ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აუცილებლად გადაუგზავნის ადვოკატთა ასოციაციის განცხადებას და ადვოკატთა ასოციაცია აღნიშნულზე პასუხს აუცილებლად მიიღებს. ასევე ჩვენი მოთხოვნა გადაეგზავნება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს, ბატონ თომას ჰამერბერგს, რომელმაც თავის დასკვნაში დაადასტურა ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალური დევნის არსებობა. ეს მართლაც ძალიან დიდი მიღწევაა ადვოკატთა ასოციაციის ბრძოლის შედეგად, როდესაც ევროპის საბჭოს პირველი პირი ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში დებს დასკვნას ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნაზე.

***— ევროსაბჭოსთან რატომღა მიხვედით?***

— ევროსაბჭოსთან ჩვენ მივედით იმისათვის, რომ ის მილიონები, რომლებიც იხარჯება სასამართლო რეფორმისთვის საქართველოში, ფაქტობრივად, წყალშია გადაყრილი — საქართველოში სასამართლოს რეალური რეფორმა არ ხდება. სასამართლო გადაიქცა დამსჯელ უწყებად, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება ადვოკატთა კორპუსთან ანგარიშსწორებას ახდენს. იმ ადვოკატებს, რომლებსაც სააკაშვილის რეჟიმი ციხეებში ვერ ალპობს, სასამართლოს მეშვეობით აჯარიმებს, აძევებს სასამართლო პროცესიდან და მანდატურების მეშვეობით მათზე ფიზიკურ ანგარიშსწორებას ახდენს. მანდატური თავს დაესხა ჩვენს ადვოკატ რამინ პაპიძეს და მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. რამინ პაპიძე, რომელიც თავის სიცოცხლეს იცავდა, აქეთ დაადანაშაულეს და მოსამართლის მსგავსმა არსებამ, რომელიც თავის თავს მოსამართლეს უწოდებს, კუბლაშვილის საფეოდალო დაწესებულების ერთ-ერთმა რიგითმა ე.წ. მოსამართლემ 10-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობით „დააჯილდოვა“. როდესაც ამაზე ევროსაბჭო დუმს, ეს სირცხვილია. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ადვოკატთა ასოციაცია ქმედით ნაბიჯებზე უნდა გადავიდეს. ჩვენ ახლა ევროკავშირს ვთხოვეთ, მოეცა პასუხი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ყველა გზავნილზე, რომელიც გავუგზავნეთ ევროკავშირის პრეზიდენტს, ბატონ ხოსე მანუელ ბაროზოს. გვაინტერესებს, მოხდება თუ არა სააკაშვილის რეჟიმზე პოლიტიკური მექანიზმებით ზეწოლა, რათა ამ ადამიანმა შეწყვიტოს ადვოკატთა კორპუსისათვის ხელისშეშლა პროფესიული საქმიანობის განხორციელებაში.

***— ახლა აქციებისაკენ რამ გიბიძგათ?***

— ჩვენს აქციას წინ უძღოდა ადვოკატ რამინ პაპიძეზე თავდასხმა და დაპატიმრება. ამიტომ ჩვენ ჩავატარეთ რამინ პაპიძის, ნაირა უტიაშვილისა და თამილა ქუთათელაძის მიმართ სოლიდარობის აქცია და დავგმეთ ხელისუფლების ქმედებები.

თამილა ქუთათელაძეს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული, ხოლო ნაირა უტიაშვილი აღსრულების წესის შეცვლის მცდელობის ბრალდებით დააპატიმრეს. მე, ქეთი ბექაური და ეკა ბესელია იქ რომ არ მივსულიყავით, ადვოკატს არავინ გამოუშვებდა და 400-ლარიან ჯარიმას არავინ აკმარებდა. ადვოკატი ნაირა უტიაშვილი იღებდა უკანონო აღსრულების პროცესს, ანუ დემონტაჟს.

***— ვიდეოგადაღებას ახდენდა?***

— დიახ, უკანონო აღსრულების პროცესს ტელეფონით იღებდა. ადვოკატს ბორკილები დაადეს, აღსრულების ხელშეშლის მცდელობას ჰქონდა ადგილიო და მოსამართლის მსგავსმა არსებამ ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოში (რომელიც ასევე სააკაშვილი-კუბლაშვილის საფეოდალო დაწესებულებაა) უსახელო, უსირცხვილო ადამიანმა ადვოკატი 400 ლარით დააჯარიმა (მეც იქ ვიყავი), ანუ მიდის ადვოკატთა კორპუსის დევნა. ვინაიდან ჩვენ სამართლებრივად რამდენიმე უწყებას მივმართეთ, ახლა ვითხოვთ პასუხს და ვატარებთ აქციებს. აქციები ამით არ დამთავრდება. ჩვენ არ დავთმობთ. თუ ახლა რამდენიმე ადვოკატმა ჩავატარეთ აქცია, მომავალში ადვოკატთა კორპუსის მობილიზაციას მოვახდენთ. ჯერ ადვოკატთა მთელი კორპუსის მობილიზაცია არ დაგვიწყია. ათასობით ათასი ადვოკატი გამოვალთ ქუჩაში, დავსხდებით ევროკავშირისა და ევროსაბჭოს ოფისების წინ. ჯერ დავიწყებთ თბილისიდან, შემდეგ კი ბრიუსელში წავალთ. გვიპასუხონ, რატომ ხდება სააკაშვილის მხრიდან ადვოკატთა კორპუსისათვის ხელისშეშლა თავიანთი პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

***— ალბათ, ადვოკატთა დაპატიმრების სანქციას იმიტომ იყენებს სააკაშვილი, რომ თავი გაიმართლოს და თქვას, დამნაშავეები არიანო. სააკაშვილს არ შეუძლია იმ არგუმენტის გამოყენება და თქმა, ადვოკატები იმიტომ დავაპატიმრე, დამნაშავეები არიანო?***

— ამას ვერ იტყვის. რატომ? ადვოკატი თავისუფალი პროფესიის მქონე ადამიანია. კომუნისტების დროს ბუში (უფროსი) საბჭოთა კავშირს ბოროტების იმპერიას უწოდებდა. ამერიკის წინა პრეზიდენტი ბუში (უმცროსი) სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებდა. „დემოკრატიის შუქურამ“ ბოლო 7 წელიწადში 122 ადვოკატი გაასამართლა. საბჭოთა იმპერიამ გაასამართლა 80-მდე ადვოკატი 70 წელიწადში. ფაქტი ჯიუტია. ჩვენ დავდეთ მტკიცებულებები და ვერავინ იტყვის, ადვოკატები დამნაშავეები არიან და იმიტომ დააპატიმრა სააკაშვილმაო. თუ შენ შუქურა ხარ, კომუნისტებზე მეტი ადვოკატი უნდა დააპატიმრო? ახლაც ადვოკატთა იგივე კორპუსია. ახლა უცებ ადვოკატთა მთელი კორპუსი დამნაშავედ იქცა? შევარდნაძის დროს ადვოკატთა რა კორპუსიც იყო, იგივე კორპუსია ახლაც. სააკაშვილი რომ მოვიდა ხელისუფლებაში, უცებ მოუნდათ დანაშაულის ჩადენა? ამას არანაირი ახსნა არ აქვს. ადვოკატი მარიანა იველაშვილი რომ უკანონო პატიმარი და სააკაშვილის ტყვეა, ამას მთელი ევროპა აღიარებს. ეს ყველამ იცის. ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა თომას ჰამერბერგმა დაწერა, რომ შეშფოთებულია მარიანა იველაშვილის პატიმრობით. თომას ჰამერბერგზე მაღალი თანამდებობის პირი ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ევროპაში სხვა არ არსებობს, უმაღლესი კომისარია. ეს ადამიანი თუ არ შეისწავლიდა, რაც იყო დაწერილი, ასე ტყუილად არ დაწერდა. აქედან გამომდინარე, ყველამ იცის, რა ხდება. სააკაშვილმა იცის, რომ პირველი მარცხი ადვოკატებთან განიცადა. როდესაც ევროსასამართლომ გირგვლიანზე გადაწყვეტილება გამოიტანა, იქ არის სააკაშვილის საბრალდებო დასკვნა. თუ კარგად დააკვირდები, ევროსაბჭოს გადაწყვეტილების ქვეტექსტში წაიკითხავ, თუ რა საოცარ ქმედებებს სჩადის საქართველოს ხელისუფლება. სასამართლო ხელისუფლება, ფაქტობრივად, საქართველოს ხელისუფლების დანამატია, რაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილების ქვეტექსტებში იკითხება.

***— ბატონო ზაზა, თქვენ აქ საპროტესტო აქციას მართავთ, სააკაშვილი კი ბათუმში ერთობა, გრანდიოზულ შოუებს აწყობს, ათეულობით მილიონს ყრის და თან ამბობს, ქვეყანაში ყველაფერი ძალიან კარგად არისო. ეს ორი უკიდურესობა რით აიხსნება? თქვენ როგორ გესმით ამ სიტუაციის არსი?***

— მე ვეთანხმები, რომ სააკაშვილისთვის ყველაფერი კარგადაა. ომი წააგო, ჰალსტუხი შეჭამა — შერჩა; იფორთხიალა — შერჩა; ტერიტორიები დაკარგა — შერჩა. სახელმწიფო თვითმფრინავით ეროტიკული მასაჟისტი ჩამოაფრინა — შერჩა; ბიუჯეტი გადახარჯა — პარლამენტმა გაუპრავა. აქედან გამომდინარე, რატომ არ იქნება ყველაფერი კარგად? აბა, იმ საცოდავ ადამიანებს ჰკითხოს, რომლებსაც ბავშვი ვერ გაუჩენიათ, სამშობიარო ფული რომ არ აქვთ! აბა, მათ ჰკითხოს, დღე და ღამე რომ შიმშილობენ, ელემენტარულად, ჩაის ფული რომ არ აქვთ. შვილები სკოლაში რომ გაუშვან, წიგნების ფული არ აქვთ მშობლებს. სააკაშვილისა და მისი გარემოცვისთვის კი ყველაფერი კარგადაა. რასაც აკეთებდა კალიგულა და მისი გარემოცვა, იმას აკეთებს სააკაშვილი და მისი გარემოცვა. გაზეთში წავიკითხე ამაზრზენი ამბავი, თუ რა მოხდა ბათუმში. თუმცა, მინისტრებმა და სააკაშვილის გარემოცვიდან ადამიანებმა ტრავმები მიიღეს, მაგრამ ეს არის „დემოკრატიის შუქურა“. აბა ერთი ამერიკის პრეზიდენტმა ან ევროპის რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტმა გააკეთოს ასეთი რამ, სამოქალაქო საზოგადოება აპატიებს? არ აპატიებს. კონცერტის შემდეგ ჭყუმპალაობა რომ მოაწყო და ვერონიკა ქობალია თბილისის საავადმყოფოში გადმოიყვანეს, იქ ბარამიძეს რომ ფეხი მოსტყდა და ა.შ. სენსაციური ინფორმაციები დაფიქსირდა, მაგრამ სააკაშვილისთვის მაინც ყველაფერი კარგადაა. კაცი სახელმწიფო ბიუჯეტით ერთობა და, სანამ შერჩება, შერჩება. თუ, მაგალითად, ეს საცოდავი ხალხი, რომელსაც პურის ფული არ აქვს, იმით არის ბედნიერი, სააკაშვილი როგორ ერთობა თავის გარემოცვასთან ერთად, როგორ აფრიალებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფულებს, კი ბატონო, ადვოკატთა კორპუსი ვიბრძოლებთ სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისთვის, ვიბრძოლებთ, შევქმნათ პირობები, რომ სამოქალაქო საზოგადოება წავიდეს სასამართლოში და, როგორც ევროკონვენციის მე-6 მუხლშია დაწერილი, მათ ჰქონდეთ სამართლიანი სასამართლოს უფლება. სააკაშვილი იბრძვის, რომ მოქალაქეებს უკანასკნელი ლუკმაპური წაართვას და თვითონ გაერთოს.

# ნატახტარის ლიმონათმა ბავშვები ამჯერად წყლით გაგრილა



## ერთი არაჩვეულებრივი დღე „ნატახტარისგან“

სათაურში შეცდომა არ არის, კომპანია „ნატახტარის ლიმონათმა“ წლევანდელი ზაფხულის ხვატში საგურამოს ბავშვთა სახლის აღსაზრდელები, თბილისში, ნუნუას ქუჩაზე არსებულ აკვაპარკ „ევროპარკს“ ასტუმრა და ერთი ლამაზი და გრილი დღე აჩუქა.

კომპანია „ნატახტარმა“ 2010 წლის ზაფხულიდან აიღო პატრონაჟი საგურამოს ბავშვთა სახლზე და პერიოდულად ეხმარება დაწესებულებსა და მის აღსაზრდელებს. ამ დროის მანძილზე მოეწყო რამდენიმე აქცია და სპორტული ღონისძიება. ამის მიზანი ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება იყო.

ასეთივე იყო აქცია, რომელიც გუშინ გაიმართა. 24 ბავშვი დილის 11 საათიდან სტუმრობდა აკვაპარკს. ბავშვები მთელი დღის მანძილზე გაერთვნენ სხვადასხვა ატრაქციონებზე, მიიღეს სპეციალური საჩუქრები, რომელშიც საცურაო ინვენტარი ჭარბობდა. სპეციალურად მიწვეული ანიმატორები მათთავის სხვადასხვა ინტელექტუალურ და გონებამახვილურ თამაშებს მართავდნენ. კომპანიამ უზრუნველყო მათი ტრანსპორტირება და კვება.

**ნინო სურმავა, კომპანია „ნატახტარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

– უკვე მეორე წელია რაც საგურამოს ბავშვთა სახლთან ვთანამშრომლობთ და სხვადასხვა ღონიძიებებზე დაგვყავს. დღეს გადავწყვიტეთ ბავშვები აკვაპარკში წამოგვეყვანა, სადაც მთელი დღის განმავლობაში გაერთობიან. მოწვეული გვყავს ანიმატორებიც, რომლებიც მათთვის სპეციალური პროგრამით მუშაობენ.

***– კომპანიასა და ბავშვთა სახლს ოფიციალური ხელშეკრულება არ აქვთ და ამ ყველაფერს თქვენი სურვილით აკეთებთ. როგორი იქნება თქვენი მომავალი თანამშრომლობა?***

– კომპანიის სურვილია, ამ თანამშრომლობას უფრო სისტემატური ხასიათი მიეცეს და 2012 წლიდან უფრო ორგანიზებული გახდეს.

***– კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– ეს ყველაფერს უფრო პროგრამული სახით უნდა დამუშავდეს, რათა ჩვენი ურთიერთობა არ შემოიფარგლოს ერთჯერადი ღონისძიებებით. ამით ზუსტად გვეცოდინება, თუ რა და როდის უნდა გაკეთდეს. ამით ბავშვებს უფრო მეტ სიხალისეს ვაჩუქებთ. ძალიან სასიამოვნო, როდესაც ამდენ ბედნიერ და მხიარულ სახეს ვუყურებთ.

**მარინა გოჩაშვილი, საგურამოს ბავშვთა სახლის აღმზრდელი:**

– ეს არის ერთ–ერთი უბედნიერესი დღე ბავშვებისთვის. ისინი უზომოდ გახარებულები არიან. საერთოდ, კომპანია „ნატახტარი“ ძალიან გვანებივრებს მსგავსი ღონიძიებებით. მართალია, შეხვედრები ხშირი არ არის, მაგრამ ბავშვები მაინც კმაყოფილები არიან. უკეთესი იქნება, თუ ამ თანამშრომლობას უფრო სისტემატური ხასიათი მიეცემა.



***– რამდენად საჭიროა ბავშვებისთვის მსგავსი ღონისძიებები?***

– იმის გარდა, რომ ბავშვები მთელი დღის განმავლობაში ერთობიან, ისინი აქტიურად არიან ჩართული სპორტულ, თუ ინტელექტუალურ თამაშებში, რაც მათი ჯანსაღი ცხოვრების წესსა და გონებრივ განვითარებაზე მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ბავშვი უფრო სხვა აზროვნებით იზრდება და არ ფიქრობს ცუდზე. მგავსი დღეები ბავშვებისთვის საჭიროა და სასურველი. მათთვის ეს ერთ–ერთი უბედნიერესი დღეა.

თავად ბავშვები მართლაც ძალიან ბედნიერები იყვნენ. საჩუქრებსა და მსგავს გასართობებს მოკლებულნი ემოციებს ვერ მალავდნენ და ძალიან უჭირდათ თავიანთი აღფრთოვანების დამალვა. თუმცა, საბოლოო პასუხი ყველასგან ერთი იყო – მადლობა „ნატახტარს“!

# ბათუმში განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრი გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

14 აგვისტოს ბათუმში განახლებული ოპერისა და ბალეტის თეატრის გახსნაა დაგეგმილი. ინიციატორთა გადაწყვეტილებით, გრანდიოზული ღონისძიება ახალი მიუზიკლის პრემიერით აღინიშნება. სპეციალურად ბათუმის ოპერის პრეზენტაციისთვის ახალი სპექტაკლი „ქეთო და კოტე“ გათამაშდება, რომლის მუსიკალურ არანჟირებაზეც ნიკა მემანიშვილმა იზრუნა. მან წარმოდგენისთვის ვიქტორ დოლიძის საოპერო და არჩილ კერესელიძის კინომუსიკა ახალი ჟღერადობით გააცოცხლა.

სპექტაკლისთვის საჭირო დეკორაციები და კოსტიუმები ვენეციის ბიენალეს 2011 წლის წარმდგენმა თამარ კვესიტაძემ შექმნა, მიუზიკლის დამდგმელი რეჟისორი კი დავით დოიაშვილია. ქეთოს პარტიას სოფო ნიჟარაძე იმღერებს, ხოლო კოტეს პარტიას — ბათუმელი მომღერალი ნიკა ბერიძე. კოტეს პარტიაზე გამოცხადებული კასტინგის შემდეგ მრავალ კანდიდატთა შორის სპექტაკლის ავტორებმა სწორედ ნიკა ბერიძე შეარჩიეს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას განცხადებით, მთელი აგვისტოს განმავლობაში არაერთი კულტურული ღონისძიებაა დაგეგმილი. ამ სიახლის შესახებ მინისტრმა ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ განუცხადა.

კონკრეტულ გეგმებთან დაკავშირებით კულტურის მინისტრს ამ ეტაპზე მხოლოდ იმის თქმა შეუძლია, რომ ბათუმში დაგეგმილია საერთაშორისო კინოფესტივალის გამართვა და ახალი ოპერის გახსნა.

— ოპერის შენობა იტალიურ სტილშია გადაწყვეტილი. ოპერის გახსნისას შესრულდება „ქეთო და კოტე“, რომელიც სრულიად ახლებურად იქნება დადგმული და მასში ქართველი მომღერლების, მოცეკვავეებისა და პოპშემსრულებლების თანავარსკვლავედი იქნება წარმოდგენილი, — განაცხადა კულტურის მინისტრმა.

# „სახალხო კრება“ არ იშლება

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრებიდან“ რეზო ესაძისა და გოგი ქავთარაძის წასვლის შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებს.

როგორც ბურჯანაძემ ჟურნალისტებთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, ეს არის აბსოლუტური ტყუილი.

მისივე თქმით, კრების ყველა წევრი შემართულია, რომ სექტემბრიდან კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ახალი იდეებით წარდგნენ საზოგადოების წინაშე.

რაც შეეხება ჭაბუა ამირეჯიბის ვაჟს, ლაშა ამირეჯებს, ბურჯანაძის ცნობით, მან გადაწყვიტა პარალელურად პოლიტიკურ პარტიაშიც გააგრძელოს საქმიანობა, რაშიც პრობლემას ვერ ხედავს.

— ჩვენ გვქონდა ამაზე საუბარი; ის ფიქრობს, გააქტიურდეს რომელიმე პარტიაშიც, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მან კრება დატოვა, — აღნიშნა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა.

ბურჯნაძის განცხადებით, ადამიანები არ ტოვებენ არც კრებას და არც პარტიას და მზად არიან, ახალი ძალებით გააგრძელონ საქმიანობა.

— ქვეყანაში არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების აუცილებლობა, რადგან საქართველო, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად გადასარჩენია, — თქვა მან.

ინტერპრესნიუსი



# ნიკოლა სარკოზი ოქტომბერში სომხეთს ეწვევა

საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი მიმდინარე წლის ოქტომბერში სომხეთს ეწვევა. ამის შესახებ „ნოვოსტი არმენიი“ საფრანგეთის საგრეო საქმეთა სამინისტროში არსებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება.

გარდა ამისა, რამდენიმე სომხურმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ სარკოზი ოქტომბრის დასაწყისში სამხრეთ კავკასიურ ტურნეს გეგმავს, რომლის ფარგლებშიც იგი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ეწვევა.

აღსანიშნავია, რომ სარკოზის თბილისში შესაძლო ვიზიტის შესახებ ქართული მხარე ინფორმაციას არ ფლობს.

მედიანიუსი


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

❖ **ახალაშენებული კერძო სახლი ახალი რემონტით. ფასი: 120.000 დოლარი. მის: დოლიძის ქ. 120. ტელ: 599-78-53-28.**

❖ **მიცუბიში აერტრეკს. ავტომატიკა, განარბენი – 170000, 2001 ც. 7 თვის, ჩამოყვანილი. ტიპტრონიკი, ელექტრო შუშები და სარკეები. აბს. მარცხენა საჭით. მოტორი – 2. 0. მანქანა იმყოფება იდეალურ მდგომარეობაში. ფასი; 8500 § მობ: 599-19-39-49. მამუკა.**

### ქირავდება

❖ **2-ოთახიანი ბინა, გარემონტებული, ცენტრალური გათბობით. მთაწმინდაზე, კოტეტიშვილის ქუჩაზე. ფასი: 300 დოლარი. ტელ.: 298-50-88; 577-30-31-96.**


# ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო–აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)


● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარ-

[redacted]

დვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვა [illegible] ფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# ზესტაფონმა კლასით წააგო



**შტურმი (ავსტრია) — ზესტაფონი (საქართველო) 1:0**

**1:0 კიენასტი (68)**

**შტურმი:** გრაცეი, ერენრაიხი, ვებერი, დუდიჩი, ფოფხაძე, ჰიოლცლი, ბურგშტალერი, ვოლფი (კაინცი 85), მურატოვიჩი, შაბიჩი (ბოდული 74), კიენასტი

**ზესტაფონი:** კვასხვაძე, ალადაშვილი, ონიანი, მამუკა კობახიძე, ელიავა, დაუშვილი (გორგიაშვილი 52), ძარია (წინამძღვრიშვილი 80), აფციაური (ბაბუნაშვილი 76), გრიგალაშვილი, დვალი, გელაშვილი

საწყენია, როდესაც მეტოქე გუნდს 4 ტაიმის მანძილზე სამში აჯობებ, მაგრამ მაინც დამარცხებული გამოხვალ. საქართველოს ჩემპიონმა ისევე, როგორც თბილისში, სტუმრადაც ბევრი იბრძოლა, მაგრამ საბოლოო წარმატების მისაღწევად რაღაც დააკლდა. რა არის ეს რაღაც? ალბათ, უფრო სათამაშო კლასი, დისციპლინა და ოსტატობა, რომელამდეც ქართულ ფეხბურთს ჯერ კიდევ გარკვეული დონა აკლია.

სულაც არ გვინდა ზესტაფონის თამაში დავაკნინოთ, მაგრამ მეტოქემ შეძლო ის, რაც ვერ მოახერხეს იმერლებმა — გამოიყენეს ნებისმიერი მცირე შანსი და სწორედ ეს არის ის კლასი, რომელიც გარდამტეხი აღმოჩნდა.

ამ ყველაფერის ფონზე, განსაკუთრებით მტკივნეულია პირველი მატჩის გახსენება, რომელშიც თავისუფლად შეიძლებოდა ორრაუნდიანი მატჩის ბედი „ზესტაფონის“ სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო. თუმცა, ორი ბავშვური შეცდომა, საბოლოოდ, ძვირად დაუჯდა ქართულ კლუბს. თბილისურ მატჩში შესამჩნევი უპირატესობა „ზესტაფონმა“ სათანადოდ ვერ გამოიყენა და გრაცში უკვე ცხარე ბრძოლის გადატანა არაფავორიტის როლში მოუწია.

„ზესტაფონმა“ გრაცშიც კარგად დაიწყო და პირველი ნახევარი ისევ ტოვებდა იმედს, რომ იმერლები შემდეგ ეტაპზე გავიდოდნენ. ფეროელებმა აქტიურად გამოიყურებოდნენ და უმალვე ცენტრში უპირატესობა მოიპოვეს. „შტურმის“ მეკარე კრისტიან გრაცეი პირველად მე-12 წუთზე ანერვიულდა, როდესაც როინ კვასხვაძის პასის შემდეგ ნიკოლოზ გელაშვილი ხელსაყრელ პოზიციაზე დარჩა და საჯარიმოს მისადგომებიდან წინ გამოსულ მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო, მაგრამ კარსაც ვერ დაუმიზნა და ეს ხელსაყრელი მომენტი განიავდა.

მალევე, ჯაბა დვალმა და გელაშვილმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ კარში დარტყმა ვერ მოახერხეს. სხვათა შორის, ამგვარი მომენტი არაერთხელ იყო და იმერლები რატომღაც ერიდებოდნენ საშუალო დისტანციიდან დარტყმას.

სწორედ ეს კომპონენტი გვეჩვენება განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იმერელთა თამაშში. მსგავსი ეპიზოდი ამ მატჩში ძალიან ბევრი იყო. ამა თუ იმ შემტევს რამდენჯერმე შეეძლო სახიფათოდ დარტყმა, მაგრამ ან უარეს პოზიციაში მყოფ თანაგუნდელს ეძებდნენ, ხანაც მეტოქის მოტყუებას ცდილობდნენ. ამით ძვირფასი დროც იკარგებოდა და ხელსაყრელი მომენტიც.

მე-20 წუთზე აქტიურმა შოთა გრიგალაშვილმა ოდნავ ააცილა და შემდეგ ცოტა ხნით იკლო თამაშის ტემპმა.

შტურმი ფეროელთა კარს მხოლოდ ორჯერ მიუახლოვდა — ერთხელ ანდრეას ჰიოლცლს აუღო როინ კვასხვაძემ, მეორედ კი პატრიკ ვოლფმა ააცილა. ტაიმის ბოლოს ისევ იმერლები უტევდნენ და გრაცეის ერთწუთიან მონაკვეთში ორჯერ მოუხდა ბურთის მოგერიება — ჯერ გელაშვილის, შემდეგ კი გრიგალაშვილის შორეული დარტყმების შემდეგ.

მატჩს “საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით ნახავდით და მისი დეტალური განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ, მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებზე გავამახვილებთ ყურადღებას.

პირველი ტაიმი “ზესტაფონის“ საგრძნობი უპირატესობით წარიმართა და, მართალია, ასპროცენტიანი საგოლე შანსი არ გვქონია, მაგრამ გელაშვილისა და გრიგალაშვილის დარტყმები გასახსენებლად მაინც ღირს. მეორემ საჯარიმოს გარედან დაარტყა, პირველმა — უფრო ახლოდან და ორივე შემთხვევაში „შტურმის“ მეკარე გრატცაიმ იმარჯვა.

მასპინძელთა ტაქტიკა, რომელიც „მეორე ნომრობაზე“ იყო აწყობილი, შესვენების შემდეგაც გაგრძელდა. ამ პერიოდში წესით „ზესტაფონს“ თამაში უნდა მოეემატებია, მართალია გარკვეული დრო ბურთის ფლობას აგრძელებდნენ, მაგრამ ხიფათამდე საქმე არ მიდიოდა.

გია გეგუჩაძემ შეტევის გაძლიერება სცადა და საყრდენი ბუბა დაუშვილის ნაცვლად მოედანზე უფრო შემტევი თორნიკე გორგიაშვილი შეუშვა. ამ ცვლილებამ სტუმართა ზურგი მოაშიშვლა, მაგრამ სხვა გზა არ იყო — ზეტაფონს გოლის გატანა სჭირდებოდა. რაც დრო გადიოდა, სტუმართა დაცვაში სიცარიელეები უფრო ხშირად ჩნდებოდა და ავსტრიელებმაც ამით ისარგებლეს — საჯარიმოს სიახლოვეს მარტოდმარტო მყოფმა რომან კიენასტმა გამოზომილი პასი მიიღო, საჯარიმოში შევიდა, გიორგი ონიანი ეფექტურად ჩამოიცილა და კვასხვაძეს უშანსოდ დატოვა.

„ზესტაფონს“ გოლის გატანა ისევ სჭირდებოდა, თუნდაც მატჩი დამატებით დროში გადაეყვანა, მაგრამ გაშვებული გოლის შემდეგ უფრო შებოჭილად ათამაშდა და სუსტად შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი ჩაატარა. უფრო მეტიც, დაწინაურებული ავსტრიელები გაცილებით მეტი თავდაჯერებით ათამაშდნენ და მატჩის დასკვნით ნაწილში, ქართველებს არათუ შტურმის მოწყობის საშუალება მისცეს, პირიქით, თავად გაანიავეს რამდენიმე საგოლე კონტრიერიში. ხეირი ვერც გია გეგუჩაძის მიერ განხორციელებულ შეცვლებს მოჰყვა და „ზესტაფონმა“ ჩემპიონთა ლიგის პლეიოფის ნაცვლად ევრის ლიგის იმავე ეტაპზე გადაინაცვლა.

„შტურმი“ უკვე წარსულია, სამწუხაროდ, ავადმოსაგონარი წარსული, ისღა თუ გვანუგეშებს, რომ საქართველოს ჩემპიონს ევროპაში თავი არ შეურცხვენია, წლიდან წლამდე იზრდება და ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევენ.

***მატჩის შემდეგ:***

**გია გეგუჩაძე, „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი:**

— ჩვენთვის რთული მატჩი აღმოჩნდა. „შტურმი“ უკეთესად გამოიყურებოდა და ამ გუნდს ყოველივე კარგს ვუსურვებ. იმედგაცრუებული ვარ, რადგან კარგი ფეხბურთი ვერ ვითამაშეთ და ზოგიერთ ეპიზოდში საკმარისად გააზრებულად არ ვმოქმედებდით. შესაძლოა, სათანადო გამოცდილება არ გვეყო ამ ეტაპის გადასალახავად.

**ფრანკო ფოდა, „შტურმის“ მთავარი მწვრთნელი:**

— მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს გუნდს, რომელიც პირველი წუთიდან მონდომებით თამაშობდა. ჩვენ ვცდილობდით, მეტოქე ზეწოლის ქვეშ გვყოლოდა. ბოლო დღეებში კარგი წინათგრძნობა მქონდა. გუნდმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ის აგრესიულად მოქმედებდა, მაგრამ ჯერ შორს ვართ იმ სათამაშო ფორმისგან, რომელშიც უნდა ვიყოთ. კლუბისთვის მომდევნო ეტაპზე გასვლა მნიშვნელოვანი იყო. ახლა ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციის გაძლიერებაზე უნდა ვიფიქროთ და ამ საკითხს უახლოეს დღეებში გადავწყვეტთ. ფლეი-ოფი ორი შეხვედრისგან შედგება და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრა გვსურს, რათა დიდი გუნდების წინააღმდეგ ვითამაშოთ.

# ეროვნული დაძაბულობა და მოახლოებული სტარტი

ხვალ, 6 აგვისტოს სტარტს აიღებს საქართველოს XXIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. მოგეხსენებათ, რომ 2011-12 წლის სეზონი ახალი ფორმატით ჩატარდება.

ახალ სეზონში წარმატების მიღწევას ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში თორმეტი გუნდი შეეცდება. სეზონის სტარტზევე იკვეთებიან ფავორიტი გუნდები, რომლებიც 2011-2012 წლების გათამაშებაში საჩემპიონო ამბიციებით იქნება შემართული. ოქროს მედლების მოპოვებაში უმთავრეს ფავორიტებად შარშანდელი ჩემპიონი „ზესტაფონი“ და საგრძნობლად გაძლიერებული და მარადიული ფავორიტი — „დინამო“ თბილისი უნდა მივიჩნიოთ.

საჩემპიონო ამბიციები კვლავინდებურად რუსთავის „მეტალურგსაც“ ექნება, მაგრამ ჩვენი აზრით, მათი მიზანი უფრო სამეულში მოხვედრა იქნება.

სამეულისთვის კი რუსთავულ კლუბს სერიოზული კონკურენტები ეყოლება. ჩამოსაწერი ნამდვილად არ იქნება ქუთაისის „ტორპედო“ და მუდმივად ძნელად პროგნოზირებად თბილისის „ვიტ ჯორჯია“. იოლად არავის დაუთმობს არაფერს, საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებული „გაგრა“ და ამ სეზონის წინ საკმაოდ მომძლავრებული ცხინვალის „სპარტაკი“. ეს ყველაფერი კი საინტერესო ბრძოლას გვპირდება.

თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ, რომ უმაღლეს ლიგაში ასევე ფოთის „კოლხეთი“, ზუგდიდის „ბაია“ და მარტვილის „მერანიც“ თამაშობს, ვისთანაც თამაში ძალიან რთული იქნება, მით უფრო გასვლით შეხვედრებში, კიდევ უფრო დაძაბული მატჩების მოლოდინში უნდა ვიყოთ.

არ უნდა დავივიწყოთ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული გორის „დილაც“ — ამ გუნდსაც შეუძლია სიურპრიზების მოწყობა.

ვინღა დაგვრჩა? ბოლნისის „სიონი“ — გუნდი რომელიც ალბათ ელიტიდან გასავარდნად წინასწარ არის განწირული. ქვემოქართლურ კლუბს ჯერ არც პატრონი ჰყავს და ისიც საეჭვოა, ჩაამთავრებს თუ არა ჩემპიონატს. ამასთან, ბოლნისელებმა სულ ერთი კვირაა დაიწყეს ვარჯიში და ჯერ შემადგენლობაც არ ჩამოუყალიბებიათ.

ჩემპიონატის გახსნის პირველი მატჩი კი მცხეთაში, განახლებულ „არმაზზე“ გაიმართება, სადაც ისევ დაბრუნდა „ვიტ ჯორჯია“ და ამიერიდან ამ სტადიონზე ითამაშებს.

სრული პირველი ტური კი ასეთია:

**ვიტ ჯორჯია — დილა**

**6 აგვისტო. მცხეთა. არმაზის სტადიონი**

თურქულ შეკრებაზე ნამყოფი „ვიტ ჯორჯია“ ახალ სეზონს განახლებულ „არმაზზე“ შეხვდება. ვეტერინართა დაუსრულებელი მშენებლობა და რეკონსტრუქცია წარსულს ჩაბარდა და გორის „დილა“ პირველი სტუმარი იქნება, რომელსაც „ვიტელები“ უმასპინძლებენ მცხეთაში.

ამ გუნდების დაპირისპირების ისტორია სათავეს 2002 წლიდან იღებს, სადაც ვეტერინართა სრული უპირატესობა თვალშისაცემია. ურთიერთშეხვედრებში ყველაზე პოპულარული ანგარიში 2:0 არის, რომელიც ოთჯხერ დაფიქსირდა „არმაზის“ ბინადრთა სასარგებლოდ. თექვსმეტი ჩატარებული შეხვედრიდან გორელები მეტოქესთან თოთხმეტჯერ დამარცხდნენ, ერთხელ ფრედ ითამაშეს და მხოლოდ ერთხელ მოახერხეს გამარჯვების მოპოვება 2003 წელს.

ბურთების შეფარდება ცხადია, ვიტჯორჯიელთა მხარეს არის — 38:7.

**ჩვენი პროგნოზი: 2:0**

**ბაია — სიონი**

**7 აგვისტო. ზუგდიდი. გულია თუთბერიძის სახელობის სტადიონი**

ტურის დანარჩენი მატჩები კვირას გაიმართება და ზუგდიდში ერთმანეთს ბაია და ბოლნისის სიონი დაუპირისპირდება.

ამ გუნდების ჯახი ისტორია სათავეს 2009 წლის 12 სექტემბრიდან იღებს.წყვილის პირველი შეხვედრა ბოლნისში გაიმართა და სიონის გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

ამავე სეზონში ბაიამ დავით ყიფიანის სახელობის თასზე მოახერხა რევანშის აღება 3:0 მოუგო ბოლნისელებთან და შემდეგ ეტაპზე მეგრული კლუბი გავიდა. ურთიერთშეხვედრებში ყველაზე პოპულარული ანგარიში 1:0 არის — ეს შედეგი ცხრა ჩატარებულ შეხვედრაში სამჯერ დაფიქსირდა. ბოლნისელებთან შედარებით სტატისტიკური მაჩვენებლით „ბაიას“ შეუძლია დაიტრაბახოს — 4 მატჩი „ბაიას“ გამარჯვებით დასრულდა, სამჯერ გუნდებმა ფრედ ითამაშესა და მხოლოდ ორჯერ მოუგო „სიონმა“. ბურთების შეფარდება 11:5 „ბაიას“ სასარგებლოდ.

**ჩვენი პროგნოზი: 2:0**

**მეტალურგი — კოლხეთი**

**7 აგვისტო. რუსთავი. ოლიმპის სტადიონი**

მატჩი საკმაოდ საინტერესო უნდა გამოდგეს, თუმცა რუსთაველები უდავო ფავორიტებად მიიჩნევიან. ჯერ ერთი ქვემოქართლურმა გუნდმა უკვე მოასწრო ევროტურნირებზე რამდენიმე მატჩის გამართვა და უფრო შეთამაშებულია, მეორეც, შემადგენლობის მხრივაც აშკარად არ ემატება ზღვისპირელებს.

ამ გუნდების დაპირისპირება სათავეს 2002 წლიდან იღებს. ურთიერთშეხვედრების სტატისტიკური მონაცემები მეტალურგის მხარეს არის. 14 მატჩიდან რუსთაველებს შვიდი გამარჯვება აქვთ, სამჯერ მათი ჯახი ფრედ დასრულდა, ხოლო ოთხჯერ კი გამარჯვება „კოლხეთს“ ხვდა წილად. ბურთების შეფარდება 20:12 „მეტალურგის“ სასარგებლოდ.

**ჩვენი პროგნოზი: 3:1**

**სპარტაკი — დინამო**

**7 აგვისტო. თბილისი. ეროვნული სტადიონი**

ცხინვალის „სპარტაკი“ წესითა და რიგით საშინაო შეხვედრებს ვაკეში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უნდა მართავდეს, თუმცა არენაზე მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო საშინაო მატჩებს დროებით ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლებს, ამიტომ ვინ არის მასპინძელი და ვინ სტუმარი, რთული გამოსაცნობია.

ცხადია, ფავორიტად „დინამო“ მიიჩნევა, მაგრამ თუ გავისთვალისწინებთ, რომ ცხინვალური კლუბი საკმაოდ მოძლიერდა და ამასთან, დინამოს ევროტურნირების გამო ცოტა გადატვირთული გრაფიკი აქვს, ძალიან მძიმე ბრძოლა უნდა გადაიტანოს.

ამ წყვილის ურთიერთშეხვედრების ისტორიაში გამართული 17 მატჩიდან „დინამომ“ 10ჯერ გაიმარჯვა, 6ჯერ გუნდები მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს, და მხოლოდ ერთადერთხელ მოიგო ცხინვალის „სპარტაკმა“. ბურთების შეფარდება 33:10 „დინამოს“ სასარგებლოდ.

**ჩვენი პროგნოზი: 1:1**

**გაგრა — მერანი**

**7 აგვისტო. თბილისი. მერანის სტადიონი**

გასულ სეზონში საქართველოს პირველი ლიგის გათამაშების ორი გამორჩეული გუნდი უმაღლეს ლიგაში აღზევების შემდეგ პირველივე ტურში ერთმანეთს შეხვდებიან. საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის გამარჯვებული და უეფას ევროპის ლიგა მოვლილი „გაგრა“ საკუთარ მოედანზე დაუხვდება მარტვილელებს ურთიერთდაპირისპირების მესამე შეხვედრაც შედგება.

ეს გუნდები ერთმანეთს მხოლოდ ორჯერ შეხვედრიან აქამდე. გასულ სეზონში პირველ ლიგაში გამართული ორი მატჩიდან ერთი „გაგრამ“ მოიგო 3:1, ერთიც „მერანის“ გამარჯვებით დასრულდა —1:0. ბურთების შეფარდება 3:2 „გაგრას“ სასარგებლოდ.

**ჩვენი პროგნოზი: 2:1**

**ტორპედო — ზესტაფონი**

**7 აგვისტო. ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი**

ტურის ცენტრალური მატჩი — საქართველოს XXIII ეროვნული ჩემპიონატის გათამაშება იმერული დერბით იწყება. ამ გუნდებს შორის შარშანდელი ბრძოლები უშეღავათო და უკომპრომისო იყო. იყო ჩხუბი გულშემატკივართა შორისაც, რომელსაც მალევე შერიგება მოჰყვა. წყვილში ფავორიტის გამოცნობა ძნელია, თუმცა, მცირე უპრატესობა მაინც სტუმართა მხარეს უნდა იყოს. ერთია, ქუთაისში, გადაჭედილი სტადიონის წინ თამაში საკმაოდ რთულია.

ამ გუნდებმა ერთმანეთის წინააღმდეგ თხუთმეტი მატჩი ჩაატარეს. ურთიერთშეხვედრებში ყველაზე პოპულარული ანგარიში 1:0 გახლავთ, რომელიც ხუთჯერ დაფიქსირდა. თხუთმეტი ჩატარებული შეხვედრიდან სტატისტიკურად უპირატესობას „ზესტაფონი“ ფლობს — მათ ანგარიშზე რვა გამარჯვებაა, ქუთაისურმა გუნდმა კი სამჯერ მიაღწია სასურველ შედეგს, ოთხი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

**ჩვენი პროგნოზი: 1:1**

## შედეგები

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რუბინი-დინამო(კ) | 2:1 |
| მალმიო-რეინჯერსი | 1:1 |
| ვასლუი-ტვენტე | 0:0 |
| პლზენი-რუსენბორგი | 3:2 |
| სლოვანი-აპოელი | 0:2 |
| ციურიხი-სტანდარდი | 1:0 |
| ვისლა-ლიტექსი | 3:1 |
| შტურმი-ზესტაფონი | 1:0 |
| დინამო(ზ)-ჰიკი | 1:0 |
| მარიბორი-მაქაბი | 1:1 |
| პარტიზანი-გენკი | 1:1 |
| ტრაბზონი-ბენფიკა | 1:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-ტრომსო | 3:2 |
| ბრანი-ვიკინგი | 3:2 |
| ჰაუგესუნდი-სონგდალი | 4:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| კანზასი-სოლტ ლეიკი | 2:0 |
| ჩიკაგო-ფილადელფია | 1:1 |
| პორტლენდი-ლოს ანჯელესი | 3:0 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-ატლეტიკო(მ) | 2:2 |
| კორინთიანსი-ამერიკა | 2:1 |
| სეარა-ავაი | 0:3 |
| ფიგუირენსე-ბოტაფოგო | 2:0 |
| ვასკუ-სანტოსი | 2:0 |
| კურიტიბა-პალმეირასი | 1:1 |
| კრუზეირო-ფლამენგო | 0:1 |

**კალათბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| სლოვენია-ლატვია | 73:63 |

**ჩოგბურთი**

**აშშ. ვაშინგტონი. ჰარდი**

| | |
|---|---|
| დავიენკო-ებდენი | 6:3;7:5 |
| მალისე-რასელი | 6:7;3:6 |
| მელცერი-იანგი | 7:6;4:6;1:6 |
| შტეპანეკი-ოდესნიკი | 6:1;6:1 |
| ვერდასკო-მატოსევიჩი | 6:4;6:4 |
| ტროიცკი-ჰარისონი | 7:5;6:2 |

**აშშ. სან დიეგო. ჰარდი**

| | |
|---|---|
| მაკჰეილი-კუდრიავცევა | 6:2;6:1 |
| ერანი-კინგი | 6:3;6:2 |
| ივანოვიჩი-მორიტა | 6:1;7:6 |
| ვანდევეიე-სავჩუკი | 6:7;6:4;6:3 |
| ლისიცკი-დატე კრუმი | 6:1;6:2 |

შედით საიტზე atb.ge

# გელათის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დაიწყო





ეკა ირემაშვილი

**გელათის სამონასტრო კომპლექსში სარეაბილიტაციო სამუშაობის მეორე ეტაპი დაიწყო. მასზე რესტავრატორები რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად მუშაობენ — არქიტექტურულ ანსამბლში წმიდა ნიკოლოზის ტა რის, წმიდა გიორგის ეკლესიისა და გაბრიელ ეპისკოპოსის სასახლის რესტავრაცია მიმდინარეობს.**

ამ ეტაპზე დასრულებულია კომპლექსის აღმოსავლეთისა და დავითის კარიბჭის რესტავრაცია. პირვანდელი სახე დაუბრუნდა გელათის სამრეკლოს. მონასტრის ამ უძველესი ნაგებობის გადახურვა არქეოლოგიური კვლევის შედეგად აღმოჩენილი ხელით ნაკეთი, მოჭიქული ფერადი კრამიტის, საქართველოში საგანგებოდ დამზადებული ზუსტი ასლებით განხორციელდა.

გელათის სრული რეაბილიტაციის მომდევნო ეტაპზე დაგეგმილია მთავარი ტაძრისა და ძეგლის ინფრასტრუქტურული განახლება, რომელიც კომპლექსის არა მხოლოდ ოპტიმალურ რეჟიმში ფუნქციონირების, არამედ მისი სამომავლო განვითარების საფუძველი გახდება.

გელათის სამონასტრო კომპლექსის განახლება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ჯგუფ „ქართუს" ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის მხარდაჭერით ხორციელდება.

გელათის რეაბილიტაციის პროექტი სახელმწიფოს დაკვეთით კომპანია „საქართველოს მემკვიდრეობამ" შეასრულა. პროექტი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრმა დადებითად შეაფასა.

გელათის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის მეორე ეტაპის დაწყებამდე თანამედროვე ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ფარგლებში აღდგა გელათის აკადემია. მონასტერში შემავალ ნაგებობებს შორის გელათის აკადემია ერთ-ერთი უძველესია, რომელიც მეფე დავით აღმაშენებელმა, როგორც ქართული სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერა დააარსა. გელათის აკადემიის ავთენტური სახის აღდგენისას, ძეგლის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლენილია XII-XIX საუკუნეების ხუთი არქიტექტურული ფენა — ტალანი-გალერეა, გვიანი პერიოდის სათავსოები, თაღოვანი სათავსო-მაცივარი, მარანი, თონე და ყავრით დახურული აივნიანი სახლები.

— განახლებული და სრულად აღდგენილი გელათის აკადემია საუკეთესო სივრცეა სხვადასხვა კულტურული თუ შემეცნებითი ღონისძიების გასამართად. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაკვეთით, სახელმწიფო ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ „საქართველოს მემკვიდრეობა", ქართველ, გერმანელ და ესპანელ სპეციალისტებთან ერთად 2009 წელს მოამზადა გელათის სამონასტრო კომპლექსის თანამედროვე ინფრასტრუქტურის შექმნისა და რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც ძეგლის აღდგენით სამუშაოებს საფუძვლად დაედება, — განაცხადა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.

— გელათის ანსამბლში შედის აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გეგმით სწორკუთხა შენობას აღმოსავლეთით სამი შესასვლელი ჰქონია. მოგვიანებით შუა შესასლელისათვის მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობას დიდი სარკმლები ანათებდა, კედლები მოხატული ჰქონდა. მთავარი ტაძრის კონქში დაცულია ცნობილი გელათის მოზაიკა, დასავლეთ სტოაში — ფრესკები, რომლებზეც გამოსახულია საეკლესიო კრება, ხოლო სამხრეთ ეკვდერში — დავით ნარინის ორი პორტრეტი. აქ მოხატულობა არაერთხელ განუახლებიათ. განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ პირთა პორტრეტები. აქ გამოსახული არიან იმერეთის სამეფო ოჯახის წევრები. აქვეა დავით აღმაშენებლის ფრესკული გამოსახულება, რომელიც ადრინდელ მხატვრობას მიეკუთვნება, მაგრამ XVI საუკუნეში აღუდგენიათ ძველი ნახატის მიხედვით, — აღნიშნავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი.

გელათის მონასტრის მთავარ შესასვლელში დავით აღმაშენებლის საფლავია. გელათის მონასტერი სამეფო სახლის საკუთრება და საძვალე იყო. აქ არის დასაფლავებული სრულიად საქართველოს თითქმის ყველა მეფე — დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარი (თამარის ისტორიკოსების ცნობით). ასევე იმერეთის მეფეებიც.

— გელათის მონასტერი ერთ-ერთი მდიდარი ფეოდალური სენიორია იყო. მის მფლობელობაში ითვლებიდა ვრცელი მიწა-წყალი. მეურნეობაში წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება, განვითარებული მევენახეობა, ღვინის, თაფლისა და სანთლის სასაქონლო-საბაზრო წარმოება მონასტერს დიდ ფულად შემოსავალს აძლევდა. გელათის მონასტერი აღიარებდა მხოლოდ მეფის უმაღლეს უფლებას. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსაც კი არ ჰქონდა არავითარი სახელისუფლო ძალა. გელათის მონასტერში მეფეს ჰყავდა თავისი პირადი წარმომადგენელი. მონასტრის უფროსი მონაზვნები და მოძღვართმოძღვარი სამეფო დარბაზის წევრებად ითვლებოდნენ. თუმცა გაუთავებელმა შემოსევებმა და შიდა დაპირისპირებამ გელათის მონასტრის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეაფერხა. მისი ძველი მდგომარეობა კი ნაწილობრივ აღადგინა გიორგი ბრწყინვალემ. საუკუნეების განმავლობაში გელათის სამონასტრო კომპლექსისთვის მიყენებულ ზიანს, ჩვენ ვცდილობთ შევებრძოლოთ და რეაბილიტაციითა თუ კონსერვაციით მომავალ თაობებს ეს უნიკალური საგანძური შემოვუნახოთ, — აცხადებს ნიკოლოზ ვაჩეიშვილი.

საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგ გელათის მონასტერი დასავლეთ საქართველოს მეფეების ხელში გადავიდა. იმერეთში შემოჭრილმა ოსმალთა ჯარმა კი იგი გადაწვა. ბაგრატ III-ს თანამედროვებმა გელათის „მეორედ აღმშენებელი" უწოდეს. მოგვიანებით დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს.

გელათის მონასტერში აღდგენითი სამუშაოები ეტაპობრივად ყოველთვის წარმოებდა, თუმცა დავით აღმაშენებლის დროს არსებული დიდება სამონასტრო კომპლექსმა ველარ დაიბრუნა. დავით აღმაშენებლის დროს გელათში მოღვაწეობდნენ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბულმაისიმისძე, პეტრე გელათელი, ევდემონ ჩხეტიძე, ექვთიმე საყვარელიძე, გედეონ ლორთქიფანიძე, ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი. გელათის მონასტერში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი იქ ძველთაგანვე არსებობდა, აგრეთვე ქართული ჭედური ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნიმუში. 1923 წელს გელათის მონასტერი დახურეს. ამჟამად იგი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალია.

გელათის სამონასტრო კომპლექსში სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის თანადაფინანსებით ჩატარდა.

◆◆◆

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის პროგრამის ფარგლებში, მიწისძვრისგან დაზიანებული ძეგლების რეაბილიტაცია საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მიმდინარეობს. უკანასკნელ წლებში რაჭის რეგიონში, მიწისძვრისგან დაზიანებული რამდენიმე ათეული ძეგლი აღდგა. წლევანდელი პროგრამული პრიორიტეტების გათვალისწინებით, სპეცილისტები ჯრუჭის მონასტრის სარეაბილიტაციო პროექტზე უკვე მუშაობენ. XI საუკუნეში აგებული და მრავალჯერ შეკეთებული ჯრუჭის მონასტრის გუმბათოვანი ტაძარი, კედლებზე გამოკვეთილი ლაპიდარული წარწერებით, წმინდანთა რელიეფებით და მცენარეული ორნამენტებით შემკული კარ-სარკმელით, ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელოვანი კერა იყო. 1991 წლის მიწისძვრამ ეკლესია ძლიერად დააზიანა — ჩამოიქცა გუმბათი და კამარები, ჩამოინგრა კედლების დიდი ნაწილი, რომელთა ნანგრევები დღესაც ადგილზეა. მიმდინარე წელს მიხდება ძეგლის კომპლექსური შესწავლა-შეფასება და შეიქმნება ჯრუჭის მონასტრის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც საფუძვლად დაედება ფიზიკური სამუშაოების განხორციელებას.

◆◆◆

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესიის რეაბილიტაცია, რომელიც კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში სოფელ ახალსოფლის მიდამოებში მდებარეობს, დაწყებულია. ძეგლის რესტავრაცია უკანასკნელად XIX საუკუნეში განხორციელდა და სახე იცვლა. 1850 წელს მიტოვებული სოფელი ხელმეორედ დაასახლეს. ღვთისმშობლის ეკლესიაც აღადგინეს და საფუძვლიანად შეაკეთეს. სოფელს ახალსოფელი უწოდეს. ამ ფაქტს ასევე მოწმობს ძეგლის სამხრეთ ფასადზე. გარშემოსასვლელის კარების თავზე მოთავსებული წითელი ქვის ფილა წარწერით „1852 წელს თავადმა ივანე ამილახვარმა აღაშენა და დაასახლა ძველადვე განთქმული სოფელი გავაზი და განაახლა ტაძარი". საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით მიმდინარე წელს ღვთისმშობლის ეკლესიას დაუბრუნდება პირვანდელი სახე. პროექტით გათვალისწინებულია — ტაძარზე მიშენებულ გარშემოსავლელზე კრამიტის სახურავის მოხსნა, კრამიტის ქვეშ არსებული მოჭიმვის მოხსნა, ახალი მოჭიმვის მოწყობა კირის ხსნარით, ჰიდროიზოლაციის მოწყობა, კრამიტის სახურავის მოწყობა კირის ხსნარზე, ტაძრის ინტერიერში და გარშემოსავლელში დაზიანებული ნალესობის მოხსნა, ტაძრის ინტერიერის კედლების დაზიანებული ფრაგმენტებისშელესვა-ამოგოზვა კირის ხსნარით და ტაძრის ფასადებიდან ცემენტით შელესილი ფრაგმენტების მოხსნა. ეკლესია გეგმით ტეტრაკონქია — ცენტრალურ კვადრატს ოთხივე მხრიდან ეკვრის ნალისებრი ფორმის აფსიდებით დაბოლოებული კონქები, რომელთა გუმბათქვეშა თაღებიც აგრეთვე ნალისებრი ფორმისაა. ეკლესიას შესასვლელი სამხრეთ და დასავლეთ მხრიდან აქვს. რვაკუთხა გუმბათის ყელი, რომელიც უფროგვიანდელ ხანას მიეკუთვნება, საგრძნობლად წაგრძელებულია, აქვს სამი სარკმელი. კონსტრუქციულად ცენტრალური კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლა განხორციელებულია ტრომპების მეშვეობით. ეკლესიას მოგვიანებით მიაშენეს გარშემოსასვლელი, რომელიც, მთელ ტეტრაკონქს ეკვროდა, მაგრამ შემდეგ დაზიანდა და ნაწილობრივ დაინგრა. ამჟამად იგი ჩრდილოეთ აფსიდთან წყდება. ეკლესია და გარშემოსასვლელი რიყის ქვითაა აგებული.

◆◆◆

საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ისტორიული ძეგლების აღდგენის პარალელურად, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულმა სააგენტომ უკვე გამოაცხადა ელექტრონული აუქციონი უფლისციხის მუზეუმ-ნაკრძალში ღია კაფის მოწყობის შესახებ, რომლის ყოველთვიური საწყისი საიჯარო საფასური 150 ლარია. ელექტრონული აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

◆◆◆

პროექტი წარიმართება მოხალისეობის ევროპული წლის ეგიდით და მასში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოღვაწე ევროპელი მოხალისეები.

— ეს არის ერთ-ერთი პირველი პროექტი, რომელიც მოწოდებულია, გამოავლინოს, გამოიკვლიოს და განავითაროს მოხალისეობის ცნება საქართველოში. მისი ძირითადი მიზანია მოხალისეობასა და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. პროექტის ამოცანას შეადგენს, აგრეთვე, ურთიერთდახმარების, ნებაყოფლობითი მუშაობის ძველი ქართული ტრადიციის — ნადის გაგრძელება და დღევანდელი ყოფისათვის მისი მიზანშეწონილობისა და ღირებულების წარმოჩენა, — განმარტავენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში.

◆◆◆

საპატრიარქოს ეპარქიებში კი მონასტრების აღდგენით სამუშაები დაიწყო, რომელშიც ტექნიკური უნივერსიტეტის 100-მდე სტუდენტი ჩაერთო. ისინი 10 დღის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა ეპარქიებში მონასტრების აღდგენით სამუშაებში იღებდნენ მონაწილეობას. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები ლასურიაშის, ცაგერის, აბასთუმნის, თეთრიწყაროს და მანგლისის მამათა მონასტრებში მუშაობდნენ. სტუდენტებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფები გამგზავრების წინ მანგლისის სიონის დეკანოზმა გიორგი მალხაზიშვილმა დალოცა. ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით პროექტი უკვე 10 წელია წარმატებით ხორციელდება და თვითმმართველობის თქმით, მონასტრებში წასვლასა და სამშენებლო სამუშაოებში ჩართვის სურვილს ყოველ წელს უფრო და უფრო მეტი სტუდენტი გამოთქვამს.



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, ყვავილი; 3. უფროსი მღვდელი ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში; 4. ვაშლის ქართული ჯიში; 7. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 9. უბანი თბილისში; 12. სხვადასხვა ნაწილებისაგან შეკოწიწებული რამ; 14. ცეცხლსასროლი იარაღის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 15. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 17. ნიჟარაში ბინადარი, რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ბურთიანი ჰოკეის ინგლისური სახელწოდება.

**თარაზულად:** 5. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 6. კინოფესტივალი, გამოფენა, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასაკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. თხრობითი ხასიათის ლექსი; 19. ფინური აბანო; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარული ფირმა; 22. საიდუმლო, გულის ნადები; 23. იატაკის ხის საფარი.

*შეადგინა თ. გოგინაშ-*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მაკიზარი; 2. რამპა; 3. სარასატე; 4. იამაჰა; 7. ტესლა; 9. აგარა; 12. სტეფანსონი; 14. ოდისეა; 15. დარბაზი; 17. ჰეზბოლა; 20. კუკნა

**თარაზულად:** 5. საგურამო; 6. რეალობა; 8. ჰიპოგეა; 10. სოლოლაკი; 11. კრეიგი; 13. ფრეგატი; 16. მასანდრა; 18. მედეა; 19. ურანი; 21. დუშეთი; 22. უზალთუნი; 23. პოკლენი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბოქაული; 2. ცეცე; 3. სევანი; 4. ალკოვი; 6. ფეხბურთი; 9. იუმორი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვახშამი; 15. ღამურა; 17. ფრაჟე; 18. ვერნი; 20. პუფი.

**თარაზულად:** 1. ბოცვერი; 5. შელფი; 7. ღვეზელი; 8. ქეცბაია; 10. ზუთხი; 11. ნამყო; 12. ქემელი; 16. მანათი; 17. ფიჭვი; 19. ოქრო; 21. ბუფონი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. ქილერი.

# ბასარ ასადი მოქალაქეების საპროტესტო გამოსვლების უფლებას არ ცნობს




სირიიდან გავრცელებული ცნობების თანახმად, სამთავრობო ჯარებმა ტანკების მხარდაჭერით ქალაქი ჰამა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს. ეს ქალაქი რამდენიმე თვის განმავლობში სირიაში ანტისამთავრობო გამოსვლების ცენტრს წარმოადგენდა.

ქალაქის მოსახლეობის თანახმად, ტანკები ქალაქის ცენტრში ასის მოედანზე წინასწარ საარტილერიო მომზადების შემდეგ გავიდნენ. ასის მოედანი ანტისამთავრობო გამოსვლების ადგილს წარმოადგენდა.

იმავდროულად, რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარე დებატების შემდეგ გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო განცხადების ტექსტი, რომელიც სირიაში ძალადობას გმობს.

განცხადებაში დაგმობილია ადამიანის უფლებების მრავალრიცხოვანი დარღვევები და სირიის ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ ძალის გამოყენების შემთხვევები. გარდა ამისა, გაეროს განცხადება ამ დარღვევებზე პასუხისმგებელი პირების მართლმსაჯულების წინაშე წარდგომის მოწოდებებს შეიცავს.

მიმომხილველების თქმით, ევროკავშირის ქვეყნები გაეროს მიერ მიღებულ დოკუმენტში უფრო მკაცრი ფორმულირებების შეტანას მოითხოვდნენ, მაგრამ უშიშროების საბჭოს რამდენიმე წევრი სირიის ხელისუფლების დაგმობის წინააღმდეგ გამოვიდა.

ჰამაში არსებულ ვითარებას რაც შეეხება, ქალაქში, სადაც 800 ათასი ადამიანი ცხოვრობს, გამორთულია ელექტროენერგია, ტელეფონი, ინტერნეტი.

სააგენტო „რეიტერმა" გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც, სავარაუდოდ, ჰამაში მიმდინარე მოვლენებია ასახული, კადრში ჩანს ტანკი, რომელიც ისვრის, ქუჩები კვამლით ივსება.

მანამდე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ჰამას 100 ტანკისა და სამხედრო ავტომობილების კოლონა უახლოვდებოდა.

სააგენტო „ფრანს პრესს" ამის შესახებ ლონდონში ბაზირებულმა სირიულმა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა რამი აბდელ რაჰმანმა აცნობა.

ჰამას ერთ-ერთმა მკვიდრმა „რეიტერის" ინტერვიუში განაცხადა, რომ ბასარ ასადის ხელისუფლებას სურს, მომენტით ისარგებლოს, როდესაც მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის ჰოსნი მუბარაქის სასამართლო პროცესისადმია მიპყრობილი და ჰამას ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას საბოლოოდ გაუსწორდეს.

ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციების თანახმად, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში სირიაში არანაკლებ 140 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთა უმეტესობა ჰამას წილზე მოდის. მიმდინარე წლის მარტის შემდეგ სირიაში, საერთო ჯამში, 1600-მდე ადამიანი დაიღუპა. გაზაფხულზე სირიის მოქალაქეებმა ტუნისისა და ეგვიპტის მოვლენების შემდეგ საპროტესტო დემონსტრაციების გამართვა დაიწყეს.

პრეზიდენტი ბასარ ასადი მოსახლეობას პოლიტიკური რეფორმების გატარებას დაჰპირდა, მაგრამ იგი მოქალაქეების მიერ საპროტესტო გამოსვლების უფლებას არ ცნობს და გამოსვლების მონაწილეებს „შეიარაღებულ კრიმინალურ ბანდებს" უწოდებს. პრეზიდენტის განცხადებით, მათ მიღმა უცხოური ძალები დგანან.

უცხოელ ჟურნალისტებს სირიაში მუშაობის უფლება არ გააჩნიათ, ამიტომ ჰამასა და სხვა ქალაქებში მიმდინარე მოვლენების დამოუკიდებელი წყაროების საშუალებით დადასტურების შესაძლებლობა არ არსებობს.

# შვედი მოქალაქე საკუთარ ბინაში ბირთვული რეაქტორის დამზადებას ცდილობდა

შვედეთის პოლიციამ დააკავა მოქალაქე, რომელიც საკუთარ სამზარეულოში ატომბირთვის გახლეჩას ცდილობდა. რიჩარდ ჰანდელი ამტკიცებს, რომ იგი სამეცნიერო ექსპერიმენტებს აყენებდა და მიზნად ბირთვული რეაქტორის შექმნას ისახავდა.

იგი ამტკიცებს, რომ ეს საქმიანობა მისი ჰობი იყო და არ იცოდა, თუკი ეს ჰობი კანონის საწინააღმდეგო ქმედებად ითვლებოდა.

სამართალდამცავებმა ჰანდლი დააკავეს იმიტომ, რომ იგი სახლში რადიოაქტიურ ნივთიერებებს, ურანს, რადიუმსა და ამერიციუმს ინახავდა. 31 წლის მოყვარული მეცნიერის თქმით, თავის მიღწევებს იგი ბლოგში აღწერდა.

ცოტა ხნის წინ იგი თავისი კვლევების კანონიერებაში დაეჭვდა და ხელისუფლებს შესაბამისი კითხვით მიმართა. ხელისუფლებმა მაშინვე პოლიციას მიმართეს. შვედი მამაკაცი ივნისის ბოლოს დააკავეს. მის ბინაში რადიოაქტიურობის სახიფათო დონე არ დაფიქსირებულა.

„ფიზიკა და ქიმია ყოველთვის მაინტერესებდა", — განაცხადა დაკავებულმა ჟურნალისტებთან საუბარში. იგი ირწმუნება, რომ მხოლოდდამხოლოდ სურდა დარწმუნებულიყო, არის თუ არა შესაძლებელი ბირთვის გახლეჩის საოჯახო პირობებში ორგანიზება.




სამომავლოდ საოჯახო მეცნიერი მხოლოდ თეორიული კვლევებით შემოფარგვლას აპირებს, თუმცა ეს დაპირება შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს. სასამართლომ დამნაშავედ თუ მიიჩნია, ბირთვული ფიზიკის მოყვარულ სპეციალისტს 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის.

# „მაკაფიმ" კიბერთავდასხმების სერია გამოააშკარავა




მსოფლიოს 72-მდე სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ვებსაიტები ხუთი წლის განმავლობაში ჰაკერების არაერთი თავდასხმის სამიზნე გახდა.

კიბერთავდასხმების სერია, რომელსაც ინტერნეტის არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი უწოდეს, კომპანია „მაკაფიმ" გამოააშკარავა. ამ კომპანიის სპეციალობას კიბერუსაფრთხოება წარმოადგენს.

კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ ხვდება, თუ ვინ შეიძლება იყოს ამ თავდასხმებზე პასუხისმგებელი, მაგრამ ჯერჯერობით ინფორმაციის გავრცელებისაგან თავს იკავებს.

იმავდროულად, პრესაში უკვე გავრცელდა მოსაზრება, სადაც ნათქვამია, რომ ამ თავდასხმების მიღმა ჩინეთი შეიძლება იდგეს.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ჩინეთი წარსულში არაერთხელ უარყოფდა რაიმე სახის კიბერთავდასხმებთან კავშირს და ამჯერადაც მსგავს მოსაზრებას სრულიად უსაფუძვლო უწოდა.

კომპანია „მაკაფის" მაღალი რანგის ერთ-ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, რომ ამ სახის თავდასხმები კვლავინდებურად გრძელდება.

რაჯ სამანის თქმით, წარსულში მომხდარი თავდასხმებისაგან განსხვავებით, ბოლო თავდასხმებს სამიზნეების ფართო სპექტრი გააჩნიათ.

დაზარალებული ორგანიზაციების ნაწილმა კომპანია „მაკაფის" მხოლოდ თავდასხმის ფაქტის დაფიქსირების უფლება მისცა და შემდგომი დეტალების გამოძიება თავად ითავეს. უმეტესმა ორგანიზაციებმა „მაკაფის" უფრო დეტალური ინფორმაციის შეგროვების უფლება მისცეს.

როგორც კომპანიის მესვეურებმა დაადგინეს, თავდასხმების უმეტეს შემთხვევაში ჰაკერების სამიზნეს ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენდა, რომლის მფლობელიც ესა თუ ის ცალკეული კომპანია გახლდათ.

„მაკაფის" წარმომადგენლების თქმით, მათ არ შეუძლიათ, თვალი გაადევნონ იმას, თუ რა ბედი ეწევა გატაცებულ ინფორმაციას, მაგრამ, სავარაუდოდ, იგი რაიმე წარმოების სრულყოფის ან კონკურენტების პოზიციის დასასუსტებლად შეიძლება გამოიყენონ.

როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ინტერნეტ-საიტებზე შესაღწევად შედარებით მარტივ სქემას იყენებდნენ. იმ თანამშრომლის ელექტრონულ ფოსტაზე, რომელსაც ორგანიზაციის სისტემაზე მეტ-ნაკლებად მიუწვდებოდა ხელი, კომპიუტერული ვირუსის შემცველ წერილს აგზავნიდნენ.

ეს ვირუსი, თავის მხრივ, სისტემაში შეღწევის შესაძლებლობას იძლეოდა.

„მაკაფის" ექსპერტების ვარაუდით, ამ მასშტაბური თავდასხმის მიღმა ჩინეთი დგას და ამ მხრივ რუსეთის მონაწილეობა თავდასხმაში ნაკლებად სავარაუდოა.

თუმცა, ამ მოსაზრებას ყველა არ იზიარებს. კომპიუტერული უსაფრთხოების ექსპერტების ნაწილი აღნიშნავს, რომ მსგავს სიტუაციაში ძალიან ხშირად ყველა ჩინეთისაკენ იშვერს ხელს, მაშინ როდესაც ინტერნეტის ჯაშუშობისათვის გამოყენება ალბათ ყველა ქვეყანას შეუძლია.

კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფლებსა და ორგანიზაციებს მოუწოდებენ, კიბერუსაფრთხოების საკითხებს მეტი ყურადღება დაუთმონ.

# როდის გაუჩნდა ბზარი ძაღლისა და ადამიანის მეგობრობას

ალტაიში, ერთ-ერთ გამოქვაბულში, აღმოაჩინეს უძველესი ძაღლის კარგად შემონახული თავის ქალა. მისი ასაკი 20 ათასი წლით აღემატება ძაღლის მოშინაურების მეცნიერების მიერ ნავარაუდევ დროს.

როგორც ირკვევა, ეს ჯიში მოგვიანებით გადაშენდა. როგორც ჩანს, ძაღლისა და ადამიანის მეგობრობას ბზარი გაუჩნდა და ისინი კვლავ კონკურენტებად იქცნენ.

ამ დასკვნამდე მივიდა არქეოლოგების საერთაშორისო ჯგუფი. მათი გამოკვლევის შედეგი ჟურნალ „პლოს ვანში" გამოქვეყნდა.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მათ მიერ ნაპოვნი ფრაგმენტის ასაკი 33 ათასი წელია, რაც გამყინვარების ბოლო პერიოდს ემთხვევა.

ცხოველის თავი თანამედროვე ძაღლებს არ ჰგავს. იგი უფრო გრენლანდიურ ძაღლებს ჰგავს, რომელიც ადამიანის მიერ მოშინაურებულ უძველეს სახეობას განეკუთვნება. ნეშტის კბილების აგებულება უფრო თანამედროვე ევროპელი მგლების წინაპარს ჩამოჰგავს, რომელიც 31 წლის წინ ცხოვრობდა.

ყოველივე ეს მიანიშნებს, რომ ნეშტი ადამიანის მიერ მოშინაურებული ძაღლის ერთ-ერთ უძველეს სახეობას განეკუთვნება.

მეცნიერების ვარაუდით, მგლების მოშინაურების პროცესი მიზანმიმართული პროცესი არ ყოფილა. იგი უფრო სტიქიურ ხასიათს ატარებდა და ამისათვის საჭირო იყო, რომ ადამიანები ერთ ადგილას დიდი ხნის განმავლობაში დაბინავებულიყვნენ.

ერთ ადგილას მცხოვრები ადამიანები დიდი რაოდენობით ძვლებს ტოვებდნენ, რაც



მგლებს იზიდავდა. მათგან ყველაზე ცნობისმოყვარეები და გამბედავები თანდათანობით ახალგაზრდა მგლების ჩვევებს ინარჩუნებდნენ, დრუნჩები დაუმოკლდათ, კბილები დაუპატარავდათ და უფრო მჭიდროდ ჰქონდათ ყბებზე განლაგებული, რაც თანამედროვე ძაღლებისათვის არის დამახასიათებელი.

თავდაპირველად ძაღლები მხოლოდ ნარჩენებს ჭამდნენ და მათ სხვა მტაცებლებისაგან, მაგალითად, დათვებისაგან იცავდნენ. გამყინვარების პერიოდის მიწურულს ძაღლები ადამიანების ტომების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად იქცნენ. მათ ადამიანების ცხოვრება შეცვალეს, რადგან ნადირობა ძაღლებთან ერთად გაცილებით ეფექტური იყო.

რაც შეეხება ალტაის მხარეს, როგორც ჩანს, ყინულების მოძალებასთან ერთად საკვების რაოდენობა შემცირდა, ადამიანები იძულებული გახდნენ, ეს ადგილები მიეტოვებინათ და მგლები და ადამიანები კვლავ მეტოქეებად გადაიქცნენ.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

## კაცი, რომელიც ყველას უყვარდა... შოთა კოხრეიძის ნათელ ხსოვნას



ერთი წელი ხდება, რაც ამქვეყნიური ცხოვრებიდან გახვედი და გვწამს, რომ ზეციურ სასუფეველში დაიმკვიდრე ადგილი.

ქვეყანას კი დააკლდა კაცი, ყოველგვარი სიკეთითა და ლაზათით შემკობილი; მოსიყვარულე მეუღლე და მამა; შესანიშნავი პედაგოგი და აღმზრდელი; გამორჩეული ხელმძღვანელი და ორგანიზატორი; ქვეყნის პატრიოტი და ღირსეული მამულიშვილი; ჭეშმარიტად უკეთილშობილესი, სათნო, ქველმოქმედი და სპეტაკი პიროვნება.

შენი წასვლით თითქოს ეპოქის მნიშვნელოვანი ნაწილი დასრულდა და ცხოვრების რაღაც გაურკვეველ ორბიტაზე გავედით.

ძალიან გვიმძიმს უშენოდ. ვცხოვრობთ შენზე მოგონებებითა და ვლოცულობთ შენი სულისა და საქმის უკვდავსაყოფად.

ღმერთმა სამარადისო სასუფეველში და ნათელში დაამკვიდროს შენი კეთილშობილი და სათნო სული.

*დიდი სიყვარულითა და ტკივილით, შენი ოჯახი, აღზრდილები და მეგობრები*

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

# TV პროგრამა

## პარასკევი 5 აგვისტო

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "**300** სპარტელის უკანასკნელი შერკინება" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** მხ. ფილმი "**ინდიელი კარადაში**" **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** მხ. ფილმი "**წითელი კედები**" **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "სამყარო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. "**დღეები ლეონესთან ერთად**" **22.00** დოკ. ფილმი "რაგბიში მსოფლიო ჩემპიონატის კლასიკური მატჩები" **23.00** წითელი ზონა **00.00** მხ. ფ."**ბრალდებული**" (18) (სუბტ.) **02.00** მოამბე **02.20** მხ. ფილმი "**როგორ მოვიშოროთ თაყვანისმცემელი 10 დღეში**" **04.30** მხ. ფილმი "**შავი გველის კვნესა**" (18)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი "**სოციალური მკვლელობა**" **01.00** მხ. ფილმი "**უკანასკნელი სამურაი**"

**08.00** კურიერი **08.30** ან. ფილმი "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფ. "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერ. "**მაშველები**" **10.00** სერ. "**ცოდვილი**" **11.00** სერ. "**მიმწყვდეული**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** ქართ. ფილმი "**პირველი მერცხალი**" **14.30** კიტანოს ციხესიმაგრე **15.40** პროფილი (გან.) **18.45** სერ. "**ქალის მსხვერპლი**" **19.45** სერ. "**ახალგაზრდა ქვრივი**" **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "გმირები **2**" **10.00** სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" **11.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **16.00** სერ. "**მეტოქეები**" **17.40** სერ. "**სიყვარულის ზღვა**" **18.40** სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" **21.00** სერ."**დამალული სიმართლე**" **22.00** ქართ. ფ. "**ჭამა და სექსი**" **23.40** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **00.50** მუს. ლიგა (გან.) **02.35** მხ. ფ. "**ტრანსპორტერი 3**" (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **04.15** მხ. ფილმი "**მისტერ და მისის სმიტები**" (**12**) (ბ. პიტი) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. "**სოფია, ცოტა მადროვე**" **10.30** დოკ. ფილმი "ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. "**სინდისის საკითხი**" **13.00** სამედიცინო პროექტი **13.30, 19.35** სერ. "**მეგობრები**" **15.15** სერ. "**განებივრებული ლამაზმანი**" **18.15** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** 08.30 "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **11.00** დოკ. ფილმი "სინას მთა" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" **13.20** კონცერტი – მ. დოიჯაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი "**ხევსურული ბალადა**" **16.30** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **16.55** კონცერტი – ანს. "ერქვანი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ. ფილმი "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.20** ჩვენი ფონდი **22.35** დოკ. ფილმი "ივანე ჯავახიშვილი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჟურნალისტის დღიური **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე **02.00** მართლ. ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**5 აგვისტო**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2§-33, ღამით — 16-29

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-27, ღამით — 1§-18

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 26-2§, ღამით — 12-16

## ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსთვის





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

# გუმბათი

„რა სასწაული იხილა ნუგზარ კვაშალმა ლიკანში“

ნანული სარაჯიშვილი:
„ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, მოხუცთა თავშესაფარი ავაშენო“

იმედა კახიანმა მე–8 საუკუნის საყდარი აღადგინა





# ქართველებს სასჯელი ემუქრებათ



გასულ უიქ□ენდზე პრაღაში გამართული ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასი ჩვენი ნაკრებისთვის ახალი უსიამოვნების მიზეზი გახდა — ზურაბ ეპიტაშვილს (81) დისკვალიფიკაცია ემუქრება.

ქვეყნის ჩემპიონმა და ევროპაზე წასვლის რეალურმა კანდიდატმა პორტუგალიელ სელიო დიასთან ბრინჯაოსთვის შეხვედრაში მსაჯთა გადაწყვეტილებებისადმი პროტესტის ნიშნად კიმონო გაიხადა და ტატამიდან გავიდა. ევროპული ფედერაცია ამიტომ მის დასჯას აპირებს და სანქციებით ჩვენი გუნდის თავკაც გიორგი გუგავასაც ემუქრება — აქაოდა, შეგირდს კიმონო არ ჩააცვა და ტატამზე არ შემოაბრუნაო.

ფაქტი ნამდვილად უსიამოვნოა. იმედია, გუგავას მხოლოდ გაფრთხილებას აკმარებენ და ევროპის პირველობაზე გუნდთან ერთად ყოფნას არ აუკრძალავენ, აი, ეპიტაშვილის დასჯა კი საგანგებოდ მოუთხოვიათ.

პრაღის ტურნირი ჩვენი გუნდისთვის ბოლო საკონტროლო-შესარჩევი შეჯიბრება იყო 16-18 სექტემბერს ბელგიურ ლომელში გასამართი ევროპის პირველობისთვის. გუგავამ იქ ისინიც წაიყვანა, ვისაც მანამდეც მოიაზრებდა გუნდის წევრად და ისინიც, ვინც ამაზე პრეტენზიას აცხადებდა. მწვრთნელი დიდ დატვირთვას აძლევდა ამ შეჯიბრებას და გვპირდებოდა, რომ საევროპო ნაკრებს მისი შედეგების გათვალისწინებით დააკომპლექტებდა. მისი გათვლები სწორი აღმოჩნდა — ლიდერებმა კარგად იჭიდავეს ანუ მისი დასკვნები სწორი ყოფილა, სხვა წონებში კი კონკურენცია თითქმის საბოლოოდ გაირკვა. გუნდი კარგად გამოვიდა ჩეხეთში — 2-2 ოქრო-ბრინჯაო და 3 ვერცხლი მოიპოვა. ჩემპიონები გიორგი მესაბლიშვილი (55) და ლაშა შავდათუაშვილი (66) გახდნენ, ლერი ჭელიძე (55), ვაჟა მარგველაშვილი (60) და გიორგი მერმანიშვილი (90) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაო კი მძიმეწონოსნებმა, უშანგი კოკაურმა და ლევან მათიაშვილმა ირგუნეს.

**მ. ჟ.**

# ტაჯიკეთის პრეზიდენტმა მოზარდებს მეჩეთში შესვლა აუკრძალა

ტაჯიკეთის პრეზიდენტმა ემომალი რახმონოვმა ხელი მოაწერა კანონპროექტს „ბავშვების აღზრდასა და განათლებაზე მშობლების პასუხისმგებლობის შესახებ“, რომელიც არასრულწლოვანებს რელიგიური სახის ადგილების სტუმრობას უკრძალავს.

კანონპროექტი თავად რახმონოვმა წარადგინა განსახილველად გასული წლის მიწურულს.

კანონის თანახმად, ტაჯიკმა მშობლებმა არ უნდა დაუშვან, რომ მათმა შვილებმა რელიგიურ რიტუალებში მიიღონ მონაწილეობა, იმ ბავშვების გამოკლებით, რომლებიც ოფიციალურად სწავლობენ რელიგიურ სასწავლებლებში.



ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტების უკმაყოფილება სწორედ ამ დებულებამ გამოიწვია. კანონის წინააღმდეგ გამოვიდნენ როგორც ტაჯიკეთის ისლამური აღორძინების პარტია, ასევე ტაჯიკეთის ქრისტიანებიც.

ქვეყნის ხელისუფლები ამ გადაწყვეტილებას რესპუბლიკაში ექსტრემიზმის ზრდითა და სახელმწიფოს საერო ხასიათის შენარჩუნების აუცილებლობით ასაბუთებენ.

აღსანიშნავია, რომ რადიკალური ისლამიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სახით ტაჯიკეთის ხელისუფლებმა ადგილობრივ იმამებს შესთავაზეს, ქადაგებების თემები წინასწარ დადგენილი სიიდან შეერჩიათ. ამ მიზნით ტაჯიკეთში გამოიცა სპეციალური წიგნი, რომელიც 52 ქადაგების კონსპექტისაგან შედგება. ამ ქადაგებებს იმამებს პარასკევის ნამაზისათვის სთავაზობენ.

2010 წლის ოქტომბერში ტაჯიკეთში ულემების, უზენაესი მუფტიების საბჭოს ახალი თავმჯდომარე აირჩიეს. ამ თანამდებობაზე დანიშნეს საიდმუქარამ აბდუქოდირზოდა, რომელიც წარსულში ამ კომიტეტის რელიგიის საკითხების განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

მისი დანიშვნა ხელისუფლების მიერ ტაჯიკეთში რელიგიური საკითხების გაკონტროლების სურვილად მიიჩნიეს. ტაჯიკეთში მოსახლეობის 99% მუსლიმანია. ტაჯიკების უმეტესობა ჰანაფური მიმდინარეობის სუნიტია, თუმცა რესპუბლიკაში მრავლად ცხოვრობენ აგრეთვე ისმაილიტებიც, ისლამის შიიტური მიმდინარეობის წარმომადგენლები.

**გ.თ.**

# იუმორი



— ნიმფომანი — ასე უწოდებენ მამაკაცები ქალს, რომელსაც უფრო მეტი უნდა, ვიდრე მას შეუძლია...

***

— მე ემიგრაციაში არ წავსულვარ, უსაფრთხო მანძილზე წავედი...

— თუ გაოფლიანდით, უფროსს უნდა დაენახვოთ...

***

ცოლი მთვრალ ქმარს თათხავს:
— სად ეშმაკებში დაეთრეოდი?
— შენც დაინახე ისინი?

***

სტუმრად მისული ქალი ხედავს, თუ როგორ გაუშალა დიასახლისმა სუფრა ქმარს — ყველა კერძი ერთ თეფშზე დიდი ნაჭრებით დაუყარა.

— ლაშქრობაში ხომ არ ხართ, ყველაფერი ერთად რომ დაუყარე!

— ჩემი ქმარი მხატვარია, სუფრა ლამაზად რომ გავუწყო, ჭამის ნაცვლად ნატურმორტის ხატვას დაიწყებს...

***

— როგორ ჰგავს შენი შვილი შენს ქმარს.

— აბა, მეც ეგ არ მიკვირს? **გ. თ.**

# როგორი დამოკიდებულება გაქვთ ახლობლებთან?

**ტესტი**



1. როდესაც თქვენს ახლობლებს შეურაცხყოფენ, იცავთ თუ არა მათ?
2. შეგიძლიათ თუ არა, თქვენი ახლობლებისთვის გააკეთოთ ის, რასაც სხვას არ გაუკეთებდით?
3. ოდესმე თქვენს ახლობლებს თუ გამოუწვევიათ თქვენში უსიამოვნების შეგრძნება?
4. მძიმე დღის შემდეგ თქვენს გაღიზიანებას ახლობლებთან სკანდალით თუ გადმოაფრქვევთ ხოლმე?
5. გიყვართ თუ არა დასვენების დღის გატარება მთელ ოჯახთან ერთად?
6. გახსოვთ თუ არა, ვის როდის აქვს დაბადების დღე და ამზადებთ თუ არა საჩუქრებს?
7. თუ რომელიმე თქვენმა ნათესავმა ცოტა ფული გთხოვათ სესხად, მოსთხოვთ თუ არა ფულის უკან დაბრუნებას?
8. როდესაც ვინმე ახლობელს დახმარება სჭირდება, ეხმარებით?
9. ღირსშესანიშნავ დღეს თუ პატიჟობთ თქვენს ნათესავებს მის აღსანიშნავად?
10. იცით, რომ თქვენს მეორე ნახევარს დააგვიანდება. ივახშმებთ თუ არა მის მოსვლამდე?

## პასუხები

**დადებითი პასუხების რაოდენობის მიხედვით:**

**0-5 ქულა:** თქვენ გიყვართ მხოლოდ ისინი, ვისაც თქვენ უყვარხართ, ნაზად ეპყრობით ახლობლებს, მაგრამ ზრუნვას აშკარად არ გამოხატავთ. თუ დახმარებას გთხოვენ, დაეხმარებით, თავად დახმარებას არ შესთავაზებთ.

**6-10 ქულა:** შეიძლება, გიყვართ ახლობლები, მაგრამ მხოლოდ თქვენთვის დამახასიათებელი სიყვარულით. ძალიან მკაცრად ეპყრობით მათ. იქნებ ოდნავ უფრო მეტი ლმობიერება გამოიჩინოთ.

**გ. თ.**

# ასტროპროგნოზი
## 5 აგვისტოსთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** — ფულს შოულობთ, მთლიანად ნუ დახარჯავთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, სამსახურის საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — გადაღლილი ხართ, დასვენება გჭირდებათ. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით სიურპრიზი. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — ახალი საქმე სარფიანი აღმოჩნდება, კმაყოფილი ხართ. **მშვილდოსანი** — მშვიდად იმოქმედეთ, არ აჩქარდეთ. **თხის რქა** — თავს კარგად იგძნობთ, ყურადღების ცენტრში ხართ. **მერწყული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიტვირთოთ. **თევზები** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სასტუმროების ქსელის მფლობელი ფირმა; 2. ქართული სპორტული რადიო; 3. მოქმედი ვულკანი ისლანდიაში; 4. ფულის ერთეული ავღანეთში; 6. თბილისელი სახალხო მკურნალი დასტაქარი; 9. მუსიკალური ინტერვალი; 13. უმსხვილესი ბრიტანული საინფორმაციო სააგენტო; 14. მედიცინის ერთ-ერთი დარგი; 15. ბასკური ხალხური თამაში ბურთით; 17. ხელოვნური მარმარილო; 18. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 20. ქართული სამშენებლო კომპანია.

**თარაზულად:** 1. ქალაქ ოდესის ძველი სახელწოდება; 5. მთიანეთი ციმბირის სამხრეთში; 7. იმერეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 11. ყველაზე დიდი მდინარე საფრანგეთში; 12. სახლზე მიშენებული ღია აივანი; 16. ქალაქი კახეთში; 17. ჯამის აღმნიშვნელი ბერძნული ასო მათემატიკაში; 19. მდინარე კახეთში; 21. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 22. პატარა ბაღი; 23. მსოფლიოში უძველესი, სპარსეთში მოჭრილი ოქროს მონეტა; 24. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

